

ცვლილება ნომერი ხუთი

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-00001

18 სექტემბერი, 2015 წელი

ცვლილება ნომერი ხუთი, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 25 თებერვალს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია აღნიშნული დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულება") დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და

ვინაიდან, გრანტის მიმღებსა და USAID-ს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ დასრულების თარიღი გადაწეულ იქნას 2018 წლის 30 სექტემბრამდე, დაემატოს ახალი საქმიანობები ხელშეკრულების დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და განახლებულ იქნას ფინანსური გეგმა, რომელიც მოცემულია აღნიშნულ დანართში;

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. მუხლი 4(ა), თარიღი – "2015 წლის 30 სექტემბერი" წაიშლება სრულად და შეიცვლება "2018 წლის 30 სექტემბერი"-თ.
2. ხელშეკრულების დანართი I-ის მე-5 პუნქტი შეიცვლება ქვეპუნქტ (ა)-ს „ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების ხელშეწყობა“ ბოლო წინადადების შემდეგი დამატებით:

"უზრუნველყოფილი იქნება ასევე ტექნიკური დახმარება, რაც დაეხმარება საქართველოს ხელი შეუწყოს ენერგეტიკის სექტორის ღია ბაზარს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია ენერგეტიკული თანამეგობრობის მესამე პაკეტში. საქმიანობები შეიძლება მოიცავდეს: საბაზრო ფასების კონსოლიდაციის და შემსუბუქებისთვის საკანონმდებლო მხარდაჭერას, ელექტროენერჯის სატრანზიტო წესების პროექტის და კომპენსაციის გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერას; რეგიონული დამატებითი მომსახურების საბაზრო წესების პროექტის მომზადებაში მხარდაჭერას; ლიცენზირებისა და მონიტორინგის ჩარჩოს სამართლებრივ და მარეგულირებელ მხარდაჭერას

საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მოდელთან და კონკურენტულ ბაზრის პრინციპებთან შესაბამისობაში; სადისტრიბუციო მომსახურების ოპერატორებისთვის ტექნიკურ დახმარებას სწორ დაგეგმვაში, ექსპლუატაციასა და დახმარებაში. სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის მხარდაჭერას; ერთი ან მრავალი სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების მხარდაჭერა რათა მოხდეს პატარა და საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურების ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ქარისა და მზის სადგურების დაკავშირება გადამცემ ქსელთან, და მოხდეს ენერჯის დისპეჩერიზაცია გადამცემი სისტემებისა და საზღვრისპირა საქსპორტო კავშირების მეშვეობით. საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისიის და სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რათა დაიწყონ მოლაპარაკება ყველა დაინტერესებულ მხარესთან სადისტრიბუციო ქსელების განაწილებასთან დაკავშირებით მიწოდების მომსახურებიდან; და ბოლოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიის და საქართველოს მთავრობის სხვა ინსტიტუტების მხარდაჭერას აღმოუხრას ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ენერჯეტიკული თანამეგობრობის წევრობას".

3. დანართი I, ცხრილი სახელწოდებით "USAID-ის ფინანსური გეგმა: ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება" წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

მიზანი და ღონისძიებები	ვალდებულების მთლიანი თანხა (წინა)	ვალდებულების მთლიანი თანხა (მიმდინარე)	სხვაობა	ფინანსური დახმარება ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ	დარჩენილი თანხა, რომელზეც უნდა იქნეს აღებული ვალდებულება	მთლიანი მიახლოებითი დახმარება
ეკონომიკური ზრდის მიზანი, ინფრასტრუქტურის სფერო, თანამედროვე ენერჯო მომსახურებები						
ელექტროგადამცემის განახლება რეკონსტრუქცია, ოპერირება	\$28,000,000	\$34,657,706	\$6,657,706	\$0	\$0	\$34,657,706
გაზის ტრანზიტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შევლა და რეაბილიტაცია	\$78,029,628	\$61,508,541	\$-16,521,087	\$0	\$0	\$61,508,541
ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისება	\$8,000,000	\$12,868,309	\$4,868,309	\$1,727,344	\$0	\$14,595,653**
საქართველოს სუფთა ენერჯის ინიციატივა	\$4,652,670	\$4,651,706	\$-964	\$0	\$0	\$4,651,706
შემუშავება და ზედამხედველობა	\$8,970,372	\$13,953,418	\$4,983,046	\$0	\$0	\$13,953,418
პროგრამის მხარდაჭერა	\$760,000	\$772,990	\$12,990	\$0	\$0	\$772,990
Total	\$128,412,670	\$128,412,670	\$0	\$1,727,344	\$0	\$130,140,014**

* მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნული წარმომადგენს USAID-ის ფინანსურ დახმარებას ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისების პროგრამის ფარგლებში, რომელზეც ვალდებულება აღებულია განხორციელების ხელშეკრულებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები არ შედის ვალდებულების თანხაში, ეს თანხები განიხილება, როგორც USAID-ის მთლიანი მიახლოებითი დახმარება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მხარდასაჭერად. აღნიშნული პირდაპირ ნაკისრი ფინანსური დახმარება მოიცავს:

NARUC - \$175,000; შავი ზღვის ინიციატივა - \$442,344; SynEnergy - \$180,000; ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისება - \$930,000; სულ: \$1,727,344.

** მოიცავს შენატანებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული დახმარების ხელშეკრულებაში.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ხუთს ორ ორიგინალს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები:

საქართველო:

სახელი, გვარი: Thomas R. Morris

სახელი, გვარი: ნოდარ ხადურია

თანამდებობა: Acting Mission Director

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

USAID/Caucasus

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ძირითადი ტექსტი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
დახმარების შესახებ ხელშეკრულება № AAG-114-G-10-00001

ამერიკის შეერთებულ შტატებსა

და

საქართველოს

შორის

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის

25 თებერვალი 2010

ფისკალური ინფორმაცია:
საბიუჯეტო კოდი: EC-SUP/2009/2010 & NI-SUP/2008/2010
მიზანი: ეკონომიკური ზრდა
პროგრამის მოქმედების სფერო: A17/AO69
აღებული ვალდებულება: \$120,000,000
გრანტის ნომერი: AAG-114-G-10-00001

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

შინაარსი

მუხლი 1: ხელშეკრულების მიზანი

მუხლი 2: ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები და პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.1. ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები

პუნქტი 2.2. პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.3. 1-ლი დანართი, განვრცობილი აღწერა

მუხლი 3: მხარეთა მონაწილეობა

პუნქტი 3.1. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობა

პუნქტი 3.2. გრანტის მიმღების მონაწილეობა

მუხლი 4: საქმიანობების დასრულების თარიღი

მუხლი 5: თანხის გადახდის წინაპირობები

პუნქტი 5.1. პირველი გადახდა

პუნქტი 5.2. დამატებითი თანხის გადახდა

პუნქტი 5.3. შეტყობინება

პუნქტი 5.4. წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღები

მუხლი 6: სპეციალური დებულებები

მუხლი 7: სხვადასხვა

პუნქტი 7.1. კომუნიკაცია

პუნქტი 7.2. წარმომადგენლები

პუნქტი 7.3. სტანდარტული დებულებების დანართი

პუნქტი 7.4. ცვლილება

პუნქტი 7.5 ძალაში შესვლა

პუნქტი 7.6 ხელშეკრულების ენა

დანართი 1 განვრცობილი აღწერა

დანართი 2 სტანდარტული დებულებების დანართი

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

თარიღი: 25 თებერვალი 2010

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (შემდგომში, „USAID“)

და

საქართველოს შორის, რომელიც მოქმედებს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში, „გრანტის მიმღები“)

მუხლი 1: ხელშეკრულების მიზანი

დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში, „ხელშეკრულება“) მიზანია ასახოს ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ მხარეთა (შემდგომში, „მხარეები“) ურთიერთთანხმობა მომდევნო მუხლით გათვალისწინებულ ამოცანასთან.

მუხლი 2: ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები და პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.1. *ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები.* ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური დახმარების სტრატეგიულ სრულყოფილ საფუძვლებში ჩამოყალიბებული უცხოური დახმარების ეკონომიკური ზრდის („ფუნქციონალური ამოცანა“) ამოცანის შესრულების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ სფეროზე: ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის გაფართოება („პროგრამის მოქმედების სფერო“, ხოლო ფუნქციონალურ ამოცანასთან ერთად, („ამოცანა“).

პუნქტი 2.2. *პროგრამის კომპონენტები.* აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ, რათა მიაღწიონ შემდეგს: პიდროენერგეტიკაში ინვესტიციების წახალისება და განვითარება; აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტრო ენერჯის გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია; და ქვეყნის შიდა გაზის მომარაგების ხაზის განვრცობა. აღნიშნული კომპონენტები, ასევე ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება პროგრამის კომპონენტების განხორციელების შედეგები, დამატებით არის განხილული 1-ელ დანართში. 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციონალური ამოცანის განსაზღვრების ფარგლებში წინამდებარე 2.2 პუნქტი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე.

პუნქტი 2.3. *1-ლი დანართი, განვრცობილი აღწერა.* თანდართულ 1-ელ დანართში განვრცობილია ზემოაღნიშნული ამოცანა და განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტები, პროგრამის ქვეკომპონენტები და ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება პროგრამის თითოეულ მოქმედების სფეროში მიღწეული შედეგები. 2.1 ქვეპუნქტში წარმოდგენილი ფუნქციონალური ამოცანის

განსაზღვრების ფარგლებში 1-ლი დანართი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე.

მუხლი 3: მხარეთა მონაწილეობა

პუნქტი 3.1. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობა

(ა) გრანტი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დახმარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოც მილიონ აშშ დოლარს (\$120,000,000) (შემდგომში, „გრანტი“). გრანტის გადაცემა არ მოხდება პირდაპირ, ფულის გადაცემის სახით, არამედ გრანტი შესაძლოა გაიცეს საქონლისა და მომსახურებების მიწოდების ფორმით USAID-ის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული კონტრაქტების, ან ქვეგრანტების მეშვეობით.

(ბ) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა. ამოცანის შესასრულებლად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა შეადგენს 124,555,000 აშშ დოლარს, რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით. შემდგომი ზრდადი თანხების გაცემა დამოკიდებული იქნება ამ მიზნით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრების არსებობაზე, რომელთა გაცემაც შეიძლება განხორციელდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ მონაწილეობის ყოველი გაზრდილი თანხა, თუ ამგვარი რამ მოხდება, ჯამობრივად გაზრდის 3.1 პუნქტით განსაზღვრული გრანტის თანხის მთლიან ოდენობას, რის შედეგადაც ასევე შესაძლოა გაიზარდოს 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გრანტის მიმღების მონაწილეობის თანხა. ამასთან, გრანტის მიმღები თანხმდება, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის გაგზავნილ წერილობითი შეტყობინებაში აღიარებს მონაწილეობის თანხის ამგვარი გაზრდის ყველა შემთხვევას, თუ ამგვარი რამ მოხდება.

(გ) ცალმხრივად უარის თქმა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ეტაპზე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო განსაზღვრავს, რომ 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული მისი მონაწილეობა აღემატება იმ გონიერულ თანხას, რომელიც შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანის, კომპონენტების, ან კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად მიმდინარე ან მომდევნო აშშ ფისკალურ წელს, გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შეიძლება გაიტანოს ეს ჭარბი თანხა, რითაც შემცირდება 3.1(ა) პუნქტით

განსაზღვრული გრანტის თანხა, ან ცვლილება შეიტანოს 1-ელ დანართში და USAID-ის სახსრები გადაანაწილოს კომპონენტებსა და საქმიანობებზე. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები არ განაპირობებს 3.1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეების მთლიანი მიახლოებითი თანხის გადასინჯვას.

პუნქტი 3.2. გრანტის მიმღების მონაწილეობა

(ა) გრანტის მიმღები თანხმდება დახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში წვლილი შეიტანოს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების ამოცანის შესრულებაში, ისე როგორც ეს დეტალურად არის ასახული 1-ელ დანართში. გრანტის მიმღები თანხმდება გაიღოს ან უზრუნველყოს გასცეს ყველა ის თანხა და ასევე უზრუნველყოს ყველა სხვა რესურსის არსებობა, იმ სახსრების გარდა, რომელსაც გამოჰყოფს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო ამოცანის შესრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის, საქმიანობების დასრულების თარიღამდე, ან ამ თარიღისათვის.

(ბ) გრანტის მიმღების მონაწილეობა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების ამოცანის შესრულებაში, რომელიც ეფუძნება 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობის თანხას, არ უნდა იყოს 39,600,000 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები, რაც ასევე მოიცავს არაფულადი სახით განხორციელებულ მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული საგრანტო თანხის ოდენობას თანდათან გაზრდის ან შეამცირებს, რომლის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს აღნიშნული პუნქტი, შესაბამისად გაიზრდება ან შემცირდება გრანტის მიმღების მონაწილეობა თანხის ყოველი ამგვარი გაზრდის დროს ისე, რომ გრანტის მიმღების მონაწილეობა არ იყოს გრანტის იმ ერთი მესამედი ნაწილის ექვივალენტზე ნაკლები, რომელიც ისეთი საქმიანობების მხარდასაჭერად გამოიყენება, რომელთა განხორციელების შედეგადაც უშუალოდ საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს, ან რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საქართველოს მთავრობის უშუალო და მნიშვნელოვან მონაწილეობას ამგვარი დახმარების ადმინისტრირების, კონტროლის ან მართვის თვალსაზრისით. გრანტის მიმღების მონაწილეობის ზუსტი თანხა უნდა აღინიშნოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წერილობით შეტყობინებაში, რომელიც მომზადდება ყოველი ამგვარი გაზრდილი მონაწილეობის შესახებ. ხელშეკრულების ამოცანის შესრულებაში გრანტის მიმღების დაგეგმილი მონაწილეობის მთლიანი მიახლოებით თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ სახსრებზე, რომელიც გრანტის მიმღებს ექნება ამ მიზნისათვის, და ასევე იმ სახსრებზე, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის იქნება ხელმისაწვდომი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს 3.1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული მთლიანი მიახლოებითი თანხის გამოყოფა. გრანტის მიმღები თავისი ფულადი და არაფულადი მონაწილეობის შესახებ მინიმუმ წელიწადში ერთხელ წარმოადგენს ანგარიშს იმ ფორმით, რომელიც შეთანხმებული იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოთა.

მუხლი 4: საქმიანობების დასრულების თარიღი

(ა) საქმიანობების დასრულების თარიღი, არის 2013 წლის 31 მარტი, ან სხვა თარიღი, რომელზეც შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - არის ის თარიღი, როდესაც მხარეების შეფასებით დასრულდება ხელშეკრულების ამოცანის შესასრულებლად საჭირო ყველა საქმიანობა.

(ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად განსაზღვრავს ამას წერილობით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო არ გასცემს, ან არ დაამტკიცებს იმ დოკუმენტაციას, რომლითაც მოხდება საგრანტო თანხის გაცემის ავტორიზაცია იმ მომსახურებისათვის ან საქონლისათვის, რომელთა მოწოდებაც განხორციელდა საქმიანობების დასრულების თარიღის შემდეგ.

(გ) *განხორციელების წერილებში აღწერილ საჭირო დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნები* აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უნდა გაუგზავნოს *საქმიანობების დასრულების თარიღიდან* არა უგვიანეს ცხრა (9) თვისა, ან სხვა იმ პერიოდში, რომელზეც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო წერილობით დათანხმდება, რომ მათი წარმოდგენა მოხდეს აღნიშნულ ვადამდე, ან მის შემდგომ. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შეიძლება წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს გრანტის მიმღებს და შეამციროს საგრანტო თანხა სრულად ან მხოლოდ იმ ოდენობით, რომლის გადახდის შესახებ, *განხორციელების წერილებით* განსაზღვრულ საჭირო დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად, არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნა ამგვარი პერიოდის გასვლამდე.

მუხლი 5: თანხის გადახდის წინაპირობები

პუნქტი 5.1. *პირველი გადახდა* გრანტით გათვალისწინებულ პირველ გადახდამდე, ან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დოკუმენტაციის გაცემამდე, რომლის მიხედვითაც განცხორციელდება თანხის გადახდა, გრანტის მიმღები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით, ვალდებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები იმ ფორმით და შინაარსით, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის:

(ა) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის იუსტიციის სამინისტროს დასკვნა იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ხელშეკრულება (i) სათანადოდ იქნა დამტკიცებული, ან რატიფიცირებული, და გაფორმებული გრანტის მიმღების მიერ ან მისთვის, (ii) წინამდებარე ხელშეკრულება არის იურიდიული ძალის მქონე და იურიდიულად დამაჯავლდებულელია გრანტის მიმღებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და (iii) წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო ყველა ქვეყნის შიდა ქმედებისა და

დამტკიცების განხორციელება უზრუნველყო გრანტის მიმღებმა, ან უზრუნველყოფილ იქნა გრანტის მიმღებისათვის; და

(ბ) ხელმოწერილი განცხადება იმ პირის სახელით, რომელიც გრანტის მიმღების დაწესებულებაში იკავებს 7.2 პუნქტში მითითებულ თანამდებობას, ან მოვალეობის შემსრულებელია, და რომელიც სახელისა და თანამდებობის მითითებით დაასახელებს დამატებით სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც იმოქმედებენ 7.2 პუნქტის შესაბამისად.

(გ) ხელმოწერილი განცხადება იმ პირის სახელით, რომელიც გრანტის მიმღების დაწესებულებაში იკავებს 7.2 პუნქტში მითითებულ თანამდებობას, ან მოვალეობის შემსრულებელია, და რითაც ადასტურებს, რომ გრანტის მიმღებმა 1-ლი დანართის VI.ბ მუხლით, *მხარეთა პასუხისმგებლობები*, განსაზღვრული გრანტის მიმღების ყველა ვალდებულება უნდა შეასრულოს.

პუნქტი 5.2. სამუშაოს სპეციფიკური პირობები თანხის გადახდამდე

(ა) USAID-ის მიერ თანხის გადახდამდე, ან USAID-ის მიერ დოკუმენტაციის მომზადებამდე, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს თანხის გადახდა გაზის მილსადენის სამუშაოების შესასრულებლად სენაკიდან ფოთამდე, გრანტის მიმღებმა უნდა შეიმუშაოს გაზის მომარაგების აღნიშნული სისტემის გაფართოების გეგმა, რათა მოიცვას სავარაუდოდ 40, 000 საბოლოო მომხმარებელი, რომელსაც USAID დაეთანხმება.

(ბ) USAID-ის მიერ თანხის გადახდამდე, ან USAID-ის მიერ დოკუმენტაციის მომზადებამდე, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს თანხის გადახდა, რათა დაიწყოს მილსადენის შესაბამისი მონაკვეთის, ან გადამცემი ხაზის მშენებლობა, გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი პირის მიერ გაცემული წერილობითი მოწმობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, USAID-თვის მისაღები ფორმით და შინაარსით ადასტურებს, ყველა იმ უძრავ ქონებაზე გრანტის მიმღების უფლებას, რომელიც საჭიროა გადამცემი ხაზის ან მილსადენის დასასრულებლად და მისი შემდგომში გამოყენებისათვის, USAID-ის მიერ დაფინანსებული გაუმჯობესებების სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

პუნქტი 5.3. *შეტყობინება*. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს გრანტის მიმღებს მაშინ, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გადაწყვეტს, რომ წინაპირობა დაკმაყოფილდა.

პუნქტი 5.4. წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღები

(ა) 5.1 პუნქტით განსაზღვრული წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღი არის 90 დღე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, ან სხვა მომდევნო თარიღი, რომელზეც შესაძლოა მიღებულ იქნეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წერილობითი თანხმობა ზემოაღნიშნული საბოლოო თარიღის დადგომამდე ან ამ თარიღის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ 5.1 პუნქტში მოცემული წინაპირობები არ დაკმაყოფილდება,

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 6: სპეციალური დებულებები

- (ა) გრანტის მიმღები, საქართველოს მთავრობის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ვალდებულია იღებს და თანხმდება, რომ დროულად გასცემს, განახლებს და/ან გადას გაუგრძელებს ყველა ოფიციალურ ნებართვას, ვიზას, შეღავათებს და სხვა ნებართვებს (მათ შორის ყველა იმ ნებართვას, რომელიც შეიძლება პერიოდულად საჭირო იყოს ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობის, პროექტის განხორციელების ადგილებსა და შესაბამის უწყებებში სრული დაშვების უზრუნველყოფისათვის) იმ შესაბამისი პირობებისათვის (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს (ერთობლივად „მოთხოვნილი დოკუმენტები“). ამ დებულების მიზნებისათვის შესაბამისი პირობებს წარმოადგენენ: (1) ნებისმიერი კონტრაქტორის, გრანტის მიმღების და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები და კონსულტანტები, რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს, და (ბ) ამ თანამშრომლებისა და კონსულტანტების ოჯახის წევრები. ასევე უნდა განხორციელდეს მოთხოვნილი დოკუმენტების განახლება ან ვადის გაგრძელება, რომელიც მოითხოვება, ან შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს კანონმდებლობით - რათა შემოაღნიშნულმა თანამშრომლებმა, კონსულტანტებმა და მათი ოჯახის წევრებმა ლეგალურად იცხოვრონ საქართველოში და განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დაფინანსებული საქმიანობები.
- (ბ) სახსრების ქვე-ვალდებულებით, ქვე-კონტრაქტით გადაცემა და თანხების გადახდა. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული თანხების გადახდასთან დაკავშირებით გრანტის მიმღები თანახმაა, რომ მას შემდეგ, როდესაც დააკმაყოფილებს 5.1 პუნქტით განსაზღვრულ წინაპირობებს, USAID-ის შეუძლია 3.1(ა) პუნქტის მიხედვით ხელმისაწვდომი გრანტის თანხის სახსრების ქვე-ვალდებულების, ქვე-კონტრაქტის ფარგლებში გაცემა USAID-ის მიერ შერჩეულ პირებთან ამგვარი კონტრაქტების გაფორმებისა და გრანტების გაცემის გზით, იმდენად რამდენადაც ამგვარი ქმედებები და თანხების გადარიცხვები შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლი დანართის, განურცობილი აღწერა, პირობებს და არ საჭიროებს რაიმე შემდგომ დადასტურებას ან თანხმობას.
- (გ) USAID-მა პერიოდულად უნდა შეატყობინოს გრანტის მიმღებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ პირდაპირ გადარიცხული თანხების შესახებ და აცნობოს მას ამგვარი გადარიცხვის (გადარიცხვების) თანხის (თანხების) ოდენობა და დანიშნულება. თუმცა, საჭიროა გრანტის მიმღების წინასწარი თანხმობა

საგრანტო სახსრების გრანტის მიმღებისათვის ყველა პირდაპირი
გადარიცხვის შემთხვევაში.

მუხლი 7: სხვადასხვა

პუნქტი 7.1. *კომუნიკაცია.* წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა, დოკუმენტი, ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობით, ტელეგრაფის, ტელეფაქსის, კაბლოგრაფის, ან ელექტრონული ფოსტის ("e-mail") მეშვეობით, და იგი მიიჩნევა სათანაოდ გაგზავნილად, როდესაც მხარე მიიღებს შემდეგ მისამართზე:

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების
სააგენტო/საქართველო:
საფოსტო მისამართი:

მისიის დირექტორი
ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩო საქართველოში
გიორგი ბალანჩინის ქ. №11
თბილისი 0131
საქართველო

კაბლოგრაფის ალტერნატიული მისამართი:
ტელეფაქსი:
ელ. ფოსტა:

(995 32) 544145

საფოსტო მისამართი:

ენერჯეტიკის მინისტრი
ბარათაშვილის ქუჩა №2,
თბილისი

კაბლოგრაფის ალტერნატიული მისამართი:
ტელეფაქსი:
ელ. ფოსტა:

იგივე
(995 32) 357828
mail@minenergy.gov.ge

ყველა ამგვარი კომუნიკაცია იწარმოებს ინგლისურ ენაზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით. მეორე მხარის შეტყობინების შემდეგ აღნიშნული მისამართები შეიძლება შეიცვალოს სხვა მისამართებით.

პუნქტი 7.2. *წარმომადგენლები.* წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა მიზნისათვის გრანტის მიმღები წარმოდგენილი იქნება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სახით, რომელსაც წარმოადგენს მინისტრი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო წარმოდგენილი იქნება იმ პირის სახით, რომელიც *მისი დირექტორის* თანამდებობას იკავებს, ან რომელიც მოვალეობის შემსრულებელია. წერილობითი შეტყობინების სახით ორივე წარმომადგენელს შეუძლია დაასახელოს დამატებითი წარმომადგენლები ყველა სხვა მიზნებისათვის, გარდა ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების ხელმოწერისა, ან 2.2 და 2.3 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებისა, რომელიც

გულისხმობს პროგრამის კომპონენტების, ინდიკატორების ან I-ლი დანართის გადასინჯვას. გრანტის მიმღების დამატებითი წარმომადგენლების სახელი, გვარი და თანამდებობა 5.1(ბ) პუნქტის შესაბამისად წარედგინება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, რომელიც სათანადოდ გაფორმებულად მიიჩნევს ნებისმიერ საშემსრულებლო დოკუმენტს, რომელიც ხელმოწერილი იქნება დასახელებული დამატებითი წარმომადგენლის მიერ (ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელიც შეცვლის ამ პირს, ან იქნება მოვალეობის შემსრულებელი) 7.2 პუნქტის შესაბამისად იმ დრომდე, სანამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

პუნქტი 7.3. სტანდარტული დებულებების დანართი. სტანდარტული დებულებების დანართი (შე-2 დანართი) თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

პუნქტი 7.4. ცვლილებები. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით და რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

პუნქტი 7.5. ძალაში შესვლა. ეს შეთანხმება ძალაში შევა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომელიც წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოთი, საქართველოს ნოტიფიკაციით მიღების დღიდან სადაც გამოხატული იქნება თანხმობა სავალდებულო ძალის აღიარებაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია 5.1. (ა) მუხლით.

პუნქტი 7.6. ენა. წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია 2010 წლის 25 თებერვალს, ორ დედნად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის გაურკვეველობის ან წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და გრანტის მიმღები, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შედის ამ ხელშეკრულების დასაწყისში მითითებულ დღეს.

ამერიკის შეერთებული შტატები


საქართველო

წარმომადგენელი:



სახელი, გვარი: Jose W. Fernandez
თანამდებობა: Assistant Secretary of State
Economic, Energy & Business Affairs


წარმომადგენელი:



სახელი, გვარი: კახა ბაინდურაშვილი
თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

ამერიკის შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების სააგენტო

წარმომადგენელი:



სახელი, გვარი: Roberta Mahoney
თანამდებობა: Senior Deputy Assistant Administrator
Europe & Eurasia

**დახმარების შესახებ ხელშეკრულების
I-ლი დანართი
განვრცობილი აღწერა**

I. შესავალი

წინამდებარე დანართში აღწერილია განსახორციელებელი საქმიანობები, და ის პროგრესი და შედეგები, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებით გამოყოფილი სახსრების განკარგვით. I-ელ დანართში მოცემული არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში მოცემული განსაზღვრებების ან პირობებების შეცვლა.

II. წინაისტორია

საქართველოს ეკონომიკური აღდგენისა და ზრდისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საიმედო და ფინანსურად ხელმისაწვდომი ენერგომომარაგების არსებობას. 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტმა წარმოაჩინა, რომ საქართველო არ არის დაცული, და შესაძლოა შეუწყდეს ელექტროენერჯის მიღება ენერჯის პიდროელექტროსადგურიდან, რომელიც აფხაზეთის საზღვარზე მდებარეობს (იგი უზრუნველყოფს საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერჯის 40-45% პროცენტს ზამთარში, და ასევე წარმოჩინდა რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე მის დამოკიდებულებას (ისტორიულად ამ წყაროდან მიღებული გაზი საქართველოს გაზის იმპორტის 70%-ს შეადგენდა), რაც არ არის მიზანშეწონილი ან გონივრული. საქართველოს შესაძლებლობა გააჩნია კაპიტალიზაცია მოახდინოს საქართველოში არსებულ უზარმაზარ პიდროელექტრო რესურსებზე, რაც რეალურია, ნაცადი მიდგომა და ეკონომიკურად მიზანშეწონილია. ამგვარი მიდგომის შედეგად მოხდება ელექტრო და გაზის იმპორტის შემცირება და დივერსიფიკაცია, ასევე გაიზრდება ელექტროენერჯის ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობა თურქეთსა და სხვა ქვეყნის ბაზრებზე – რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს მშპ-ის ზრდას. თუმცა, საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება ენერჯო ინფრასტრუქტურისა და ენერჯო ტექნოლოგიების გაუმჯობესების, ქვეყნისშიდა ელექტროქსელის, მეზობელ ბაზრებთან ურთიერთდაკავშირების, ელექტროენერჯის დანაკარგების შემცირების მიზნით, და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ღარიბებსა და დაუცველ მოსახლეობას ხელი მიუწვდებოდეს საიმედო ენერჯო მომსახურებაზე. საქართველოს მიმართ ინვესტორთა ნდობის აღდგენას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ამ ინვესტიციების მობილიზების, ენერჯო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ნავთობისა და გაზის კორიდორის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით.

III. დაფინანსება

ფინანსური გეგმა. ხელშეკრულების ფინანსური გეგმა წარმოდგენილია თანდართულ ცხრილში. წერილობითი შეტყობინების საფუძველზე,

წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე მხარეთა წარმომადგენლებმა ფინანსურ გეგმაში შეიძლება შეიტანონ ცვლილებები იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილებები არ იწვევს (1) ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობის თანხის გაზრდას, ან (2) გრანტის მიმღების მონაწილეობის თანხის შემცირებას ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებულ თანხასთან შედარებით.

IV. პროგრამის კომპონენტები, პროგრამის ქვეკომპონენტები და ინდიკატორები

ა. პროგრამის სამოქმედო სფეროს, *ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაფართოება*, - ფარგლებში მიღწეული უფრო მასშტაბური პროგრესი შეფასდება შემდეგი ოთხი ინდიკატორის მიხედვით განხორციელდება.

i. საქართველოში წარმოებული გაზისა და ელექტრო ენერჯის (პროგნოზირებული მაჩვენებლის) მოცულობის შეფარდება მოხმარებული გაზისა და ელექტროენერჯის (პროგნოზირებულ მაჩვენებელთან) მოცულობასთან. ამ მაჩვენებლით შეფასდება რამდენად გაიზარდა საქართველოს დამოკიდებულება ქვეყანაში გამომუშაებულ ენერჯიაზე, და რამდენად გაიზარდა ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობა. ეს ინდიკატორი ასევე მოიცავს ენერგეტიკის გაზრდილ მოცულობას, გადაცემის მარგი ქმედების გაზრდილ კოეფიციენტს და საბოლოო მოხმარებლის მიერ ენერგეტიკის ეფექტურ დაზოგვას.

ii. თანამედროვე და საიმედო ენერჯო მომარაგებით უზრუნველყოფილ ადამიანების გაზრდილი რაოდენობა. ამ ინდიკატორით ხდება საქართველოში იმ ადამიანების რაოდენობის დადგენა, რომლებიც სარგებლობენ USAID-ის მიერ ენერჯო უსაფრთხოებისაკენ მიმართული ძალისხმევით. სარგებელი გულისხმობს ენერგეტიკის საიმედო მიწოდებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდილ ხარისხს და ზოგიერთ შემთხვევაში სამომხმარებლო ფასების შემცირებას.

iii. ახლად შექმნილი ენერგეტიკული რესურსის ოდენობა (პროგნოზირებული და ფაქტობრივი). ამ მაჩვენებლით აღინიშნება ენერგეტიკის გაზრდილი მოცულობა, და ენერჯო დანაკარგების შემცირება USAID-ის მიერ განხორციელებული ძალისხმევის შედეგად. (პროგნოზირებული) გაზრდილი მაჩვენებლები მიიღწევა ახალი ჰიდროელექტრო ობიექტების კონსტრუირებით, რომლის მშენებლობა დაიწყება წინამდებარე AA-ის დასასრულს USAID -ის დახმარების შედეგად.

iv. სახელმწიფო და კერძო რესურსების (დოლარებში გამოხატული) გამოყენება აშშ-ის მთავრობის მიერ ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის პროექტებისათვის. ამ ინდიკატორით იზომება სახსრების ის ოდენობა, რომელიც სხვა პირებმა გაიღეს ჰიდროენერჯის გამომუშაების და ენერჯის გადამცემა ობიექტების მშენებლობისათვის USAID-ის დახმარების პირდაპირი მიზნის მისაღწევად. სავარაუდოდ აღნიშნული ობიექტების მშენებლობისათვის სახსრებს გამოჰყოფენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, საქართველოს მთავრობა და კერძო სექტორი.

ბ. პროგრამის სამი კომპონენტი ხელს შეუწყობს პროგრამის მოქმედების სფეროს მოცვას და ამოცანის მიღწევას. ამ კომპონენტებისა და ქვეკომპონენტების ინდიკატორები შემდეგია:

i. 1-ლი კომპონენტი: ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების ხელშეწყობა, ინდიკატორები:

1. ობლიგაციების (აშშ დოლარებში გამოხატული) ოდენობა, რომელიც განკუთვნილია ახალი ჰიდროელექტრო სადგურის საველე სამუშაოების ჩატარების უფლების უზრუნველსაყოფად.

2. თანამონაწილეობის სახით გამოყოფილი რესურსები (აშშ დოლარებში გამოხატული) ჰიდროელექტრო სადგურის კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად

3. ახალი სიმძლავრე (მეგავატში გამოხატული) აშშ მთავრობის დახმარების შედეგად განხორციელებული მშენებლობის შედეგად.

ii. მე-2 კომპონენტი: ბუნებრივი გაზის გადაცემის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა. მაჩვენებლები.

1. გაზის გადაცემის სისტემის გამტარუნარიანობა

2. გაზის რეაბილიტირებული, შეცვლილი ან დამონტაჟებული მილსადენის კილომეტრების ოდენობა

iii. მე-3 კომპონენტი: ენერჯის გაუმჯობესებული გადაცემა. მაჩვენებლები:

1. ენერჯის გადაცემის სისტემის გამტარუნარიანობა

2. ელექტროენერჯის გამორთვების წლიური რაოდენობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ელექტროენერჯის სატრანზიტო ქსელის გაუმართაობის გამო

3. გადაცემის სისტემაში ენერჯის წლიური დანაკარგები.

V. საქმიანობების/საქმიანობის ნაწილი

ა. ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების ხელშეწყობა (დაახლოებით 9.555 მილიონი აშშ დოლარი). შემუშავებულ იქნება ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მექანიზმები ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარების გზით; ინვესტიციების ხელშეწყობისა და მარკეტინგის განხორციელებით; ასევე ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბების ინიციატივების განხორციელებით, რათა ადგილობრივმა დაწესებულებებმა შესძლონ პროექტის შემუშავების წარმართვა და პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობა. შედეგად, აშშ-ის მთავრობის ძალისხმევით შედეგად სავარაუდოდ უზრუნველყოფილ იქნება 70 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვა დაახლოებით 400 მეგავატი სიმძლავრის ახალი, სუფთა და ნახშიროვანიდან თავისუფალი ჰიდროენერგეტიკის შექმნის მიზნით.

ბ. ბუნებრივი გაზის გადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (დაახლოებით 82 მილიონი აშშ დოლარი). სამწლიანი სტრატეგიის პერიოდში დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთ გაზის მილსადენის ორი მნიშვნელოვანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. მილსადენით ტრანსპორტირების დროს გაზის შემცირებული დანაკარგების ოდენობა და მოსახლეობისათვის გაზის საიმედო მიწოდება გაიზრდება და შესაძლებელი იქნება ქალაქ ფოთის, ფოთის თავისუფალ ინდუსტრიული ზონისა და შავი ზღვის სანაპიროზე სარეკრეაციო ზონის გაზით უზრუნველყოფა.

გ. ელექტროენერჯის გაუმჯობესებული გადაცემა (დაახლოებით 33 მილიონი აშშ დოლარი). წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დასრულდება ელექტროენერჯის გადაცემის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მათ შორის სენაკი 1-ის (მენჯი-წყალტუბო) და სენაკი -2-ის (მენჯი-დიდი ქუთაისი) ელექტრო გადამცემი ხაზების გაყვანა. მოველით, რომ არსებული ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და

სისტემის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესების შედეგად საქართველო შეძლებს ქვეყნის შიგნით ელექტროენერჯის მიწოდებას და მნიშვნელოვანი ოდენობით მის ექსპორტირებას თურქეთში და სხვა ქვეყნებშიც. ამ ამოცანის შესრულება ითვალისწინებს ძალისხმევას წარმართვას ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ უნარ-ჩვევების არსებობა, რომელიც საჭიროა ხანგრძლივ პერიოდში ტექნოლოგიური სიახლეების მართვისათვის. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბების ძალისხმევა მიმართული იქნება და მიზნად დაისახავს ენერჯეტიკის მართვის გაუმჯობესებას, ელექტრო ტრანსფორმატორების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად გამოწვეული საფრთხეების მონიტორინგს, ინტელექტუალური ენერჯოქსელის შემცველი ტექნოლოგიის გამოყენებას, ელ. ენერჯის გადაცემის ოპერაციების განხორციელებასა და ვაჭრობის ხელშეწყობას. ამგვარი დახმარების შედეგად მოსალოდნელია, რომ ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა გაიზრდება მთლიანად ელექტროენერჯის გადაცემის ქსელში, შემცირდება გაზრდილი ენერჯო უსაფრთხოებისა და დაუცველობის ხარისხი და საქართველოში ელექტროენერჯის მოწოდებაში ფაქტობრივად აღმოიფხვრება შეფერხებები.

VI. მხარეთა პასუხისმგებლობები

- ა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურისათვის 124,555,000 აშშ მილიონი დოლარის გამოყოფის გარდა, რომელიც მოიცავს ჰიდროენერჯეტიკაში ინვესტიციების ხელშეწყობას, ელექტროენერჯის გადამცემი ხაზის რეაბილიტაციას, და გაზის გადამცემი ქსელის გაფართოებას, აშშ-ის მთავრობა ასევე:
- i. შესაბამის შემთხვევაში გრანტის მიმღებს შესაძლებლობას მისცემს მონაწილეობა მიიღოს, და გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით განხორციელებულ შესყიდვის საქმიანობებს, მათ შორის მონაწილეობა მიიღოს შესყიდვების შეფასების კომისიებში, რომელიც შეიქმნება ძირითადი საქმიანობების შესრულებისათვის საჭირო შესყიდვების განხორციელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში გრანტის მიმღების წარმომადგენელი ვალდებულია დაიცვას ამგვარ კომისიებში მონაწილეობის შესახებ აშშ-ის კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები. შესაძლოა მას მოსთხოვონ ხელი მოაწეროს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ დოკუმენტებს.
 - ii. წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების ფარგლებში გასცემს განხორციელების წერილებს რათა აცნობოს გრანტის მიმღებს განხორციელების მექანიზმისა და საქმიანობის განმახორციელებლის შერჩევის შესახებ.
 - iii. მოიწვევს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების და/ან საქართველოს ნაეთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენლებს აშშ-ის მთავრობის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული ყველა საჭირო აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად.

- iv. ითანამშრომლებს გრანტის მიმღებთან ენერგეტიკის ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი დახმარების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით.
- v. გრანტის მიმღებისათვის ხელმისაწვდომს გახდის USAID-ის დაფინანსებით განხორციელებულ იმ გარემოსდაცვით შეფასებებს, რომელიც განხორციელდება აღნიშნულ დახმარებასთან დაკავშირებით.
- ბ. საქართველოს მთავრობა
- i. აშშ-ის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი ენერგო ინფრასტრუქტურის კაპიტალური ინვესტიციები არ უნდა აისახოს ენერგო ტარიფის გათვლებში. გამონაკლისს წარმოადგენს მომავალში მისი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების გათვალისწინება.
- ii. გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა შესახებაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით, ხუთი (5) წლის განმავლობაში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან გრანტის მიმღებმა არ უნდა გაყიდოს ან გადასცეს, ნება მისცეს რომ გაყიდოს ან გადასცეს, უფლებრივად დატვირთოს ან უფლება მისცეს რომ უფლებრივად დატვირთოს ის ქონება რომელიც აშენდება ხელშეკრულების ფარგლებში, ამ ქონების საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის და/ან საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის გადაცემის ან მიყიდვის გარდა თუ გრანტის მიმღები შეინარჩუნებს საკონტროლო წილს ამ საწარმოში ხუთი (5) წლის განმავლობაში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
- iii. გრანტის მიმღებმა USAID-ის მიერ მხარდაჭერილი ენერგო ინფრასტრუქტურის ყოველი შემადგენელი ნაწილის ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განახორციელოს ევროკავშირის (EU) სტანდარტების შესაბამისად იმ დრომდე, სანამ არ ამოიწურება მისი სასარგებლო მომსახურების ვადა, ან არ მოხდება მისი პრივატიზაცია ii აბზაცის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აშშ-ის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურის პრივატიზაციას, ან როდესაც იგი გრანტის მიმღების კონტროლს აღარ დაექვემდებარება მისი სხვა ფორმით გადაცემის გამო, გრანტის მიმღები თანახმაა, რომ მყიდველიდან, ან ოპერატორიდან მოიპოვოს პირობა, რომ იგი ამ აქტივებს ტექნიკურ მომსახურებას გაუწევს მათი პრივატიზაციის ან გადაცემის დროს ევროკავშირის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
- iv. გრანტის მიმღები თანახმაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურის დაპროექტების და/ან მშენებლობის დროს იხელმძღვანელებს საქართველოს კანონმდებლობით და აშშ საერთაშორისო სააგენტოს მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი შეფასებებით. გრანტის მიმღები თანახმაა, რომ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი აქტივების ექსპლუატაცია

განახორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აშშ-ის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურის პრივატიზაციას, ან როდესაც იგი გრანტის მიმღების კონტროლს აღარ დაექვემდებარება მისი სხვა ფორმით გადაცემის გამო, გრანტის მიმღები თანახმაა, რომ მყიდველიდან, ან ოპერატორიდან მოიპოვოს პირობა, რომ იგი ამ აქტივების ექსპლუატაციას ან ხმარებიდან ამოღებას განახორციელებს საქართველოს გარემოსდაცვითო კანონმდებლობის შესაბამისად.

- v. გრანტის მიმღებმა USAID-ს დროულად უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა აშშ-ის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ენერჯო ინფრასტრუქტურის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგისათვის.
- vi. აღიარებს რა, რომ ამ პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს დაახლოებით 40,000 ქართველს მიეწოდოს გაზი, გრანტის მიმღებმა დროულად უნდა უზრუნველყოს გაზის მიწოდება იმ მოქალაქეებისათვის და საწარმოებისათვის, რომლებიც აშშ-ის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი გაზის მილსადენებიდან გონივრულად ახლოს მდებარეობენ ფოთის ტერიტორიაზე.
- vii. გრანტის მიმღები ვალდებულია იღებდეს, რომ ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს იმისათვის, რომ საქართველოს ელექტრო გადაცემის მთელ სისტემაში განაერცოს საპილოტე ინიციატივები, რომელთა ინიცირებაც მოხდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რესუსებთან დაკავშირებით (მაგ. ქსელის მართვა და ეფექტურობა, საშიშროების აღმოჩენა და მონიტორინგი, და სხვ.) იმ შემთხვევაში, თუ ისინი მისაღებია და მათ განხორციელებას ხარჯების გონივრული ოდენობა სჭირდება.
- viii. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს ყველა იმ უძრავ ქონებაზე უფლების მოპოვება, რომელიც საჭიროა გადამცემი ხაზის ან მილსადენის დასასრულებლად და მისი შემდგომში გამოყენებისათვის, USAID-ის მიერ დაფინანსებული გაუმჯობესებების სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.
- ix. ყველა ახალი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრისათვის (მათ შორის, და არა მხოლოდ, USAID-ის დახმარების შედეგად მიღებული სიმძლავრე) გრანტის მიმღები თანახმაა უზრუნველყოს არსებულ ენერჯო ქსელზე საკმარისი ხელმისაწვდომობა და მისი საკმარისი სიმძლავრე, რათა შესაძლებელი იყოს ახალი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის გატარება ამ ქსელში. ამასთან, გრანტის მიმღები თანახმაა ახალ ჰიდროენერგეტიკულ სიმძლავრეზე, 400 კილოვატიან საექსპროტო ხაზზე, უზრუნველყოს პრიორიტეტული დაშვება ამ რესურსის თურქეთში გასატანად, თუმცა, სეზონური შეზღუდვებით

(მაგ. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ზამთარის პერიოდში). გრანტის მიმღები თანახმაა, რომ შემოიღოს სამართლიანი და გამჭვირვალე მართვის წესები გადატვირთვის დროს თურქეთში ექსპორტისათვის გამოყენებულ 400 კილოვატიანი ხაზზე დაშვების რეგულირების მიზნით იმ დროს, როდესაც 400 კილოვატიანი ხაზი სრულად არის დატვირთული და ვალდებულებას იღებს გამოიკვლიოს და შექმნას ახალი საექსპორტო სიმძლავრე თურქეთში ელექტროენერგიის გასატანად იმ შემთხვევაში, თუ ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციები და ინვესტიციების გაწევის შესახებ ვალდებულების აღება გამართლებული იქნება.

გ. საქართველოს მთავრობის სხვა განზრახვები. რადგან საქართველოს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის კომპონენტები კომპლექსურად არის ურთიერთდაკავშირებული და ამ აქტივობის ფარგლებში USAID-ის მონაწილეობა დამოკიდებულია და განმტკიცებულია საქართველოს მთავრობის უფრო ფართო ძალისხმევით, საქართველოს მთავრობა გამოხატავს შემდეგ განზრახვას:

i. გრანტის მიმღები ვალდებულებას იღებს გაარემონტოს/გამოცვალოს აღმოსავლეთ-დასავლეთის გაზის მილსადენი, რომელიც მოთავსებულია მილსადენის იმ ორ მონაკვეთს შორის, რომლის გარემონტებას/გამოცვლას უზრუნველყოფს აშშ მთავრობა. გრანტის (ან სხვა დონორის მიერ) დაფინანსებული სამუშაოები თავსებადი უნდა იყოს აშშ-ის მთავრობის მიერ მოწოდებულ მილსადენთან. გრანტის მიმღები თანახმაა, იგი დაასრულებს ხაშური-სენაკის ხაზის დიზაინს, ტენდერს და გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტაციას და რომ ამ სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური მექანიზმი შემუშავებული იქნება და სამუშაოები დაიწყება აშშ-ის მთავრობის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთ მილსადენისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების დასრულებამდე.

ii. რადგან ახალი, 500 კილოვატიანი გადამცემი ხაზის მშენებლობას თურქეთამდე დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციის ხელშეწყობის ძალისხმევისათვის, გრანტის მიმღები თანახმაა დროულად შეასრულოს საქართველოსა და თურქეთის ელექტროსისტემების დამაკავშირებელი 500 კილოვატიანი ქსელის დაფინანსების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ვალდებულება.

iii. ენერგო რეგულირებისა და საბაზრო ოპერაციების შესახებ:

1. გრანტის მიმღები თანახმაა გააგრძელოს სამართლიანი და გამჭვირვალე წესების და მარეგულირებელი ნორმების შემუშავება და დაცვა (მათ შორის ენერგეტიკის მეორადი კანონმდებლობა, პრივატიზაციისა და ობიექტზე დაშვების შესახებ წესები) ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.
2. გრანტის მიმღებმა უნდა გააგრძელოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

ავტონომიის ხელშეწყობა, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია.

iv. გრანტის მიმღები უზრუნველყოფს რომ გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას რომელიც მიმართულია კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებისა და ინვესტიციების სტიმულირებაზე, მათ შორის ღია და გამჭვირვალე საგადასახადო შემოწმების, შესყიდვების, პრივატიზაციის პროცესის, და ინვესტორის ინტერესების სამართლიანი გადაწყვეტისაკენ.

დ. საქართველოს თანამონაწილეობა

საქართველო ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შეარჩევს შესაბამის პირებს და დადებს კონტრაქტებს თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად შემდეგი ინვესტიციის განხორციელების ფორმით, რათა ხელი შეუწყოს ამ ხელშეკრულების ამოცანის განხორციელებას:

პროექტი	სავარაუდო ბიუჯეტი (მლნ. აშშ დოლარი)
110 (220) კვ გადამცემი ხაზის აშენება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონამდე ციფრული დაცვის ინსტალაცია მაღალი ძაბვის ქვესადგურებში	4.6
ძირითადი მოწყობილობების შეცვლა მაღალი ძაბვის ქვესადგურებში (ამომრთველები, დენის და ძაბვის ტრანსფორმატორები)	2.5
ნავთლუღის 220 კვ ქვესადგურის რეაბილიტაცია სხვა პატარა მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	8.8
500 კვ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა აზერბაიჯანის მიმართულებით და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება გარდაბნის 500 კვ ქვესადგურში	4.1
400 კვ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა სასომხეთამდე და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ქსანის 500 კვ ქვესადგურში	1.1
სრული თანხა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის (სსე)	8.5
	35.3
	65.1

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

პროექტი	სავარაუდო ბიუჯეტი (მლნ. აშშ დოლარი)
საგურამო-ხაშურის გაზის მილსადენის რეაბილიტაცია (700 მმ-40კმ)	14.6
ნავთლული-საგურამოს გაზის მილსადენის მშენებლობა (700მმ-38კმ)	28.1
ტაბაწყური-ბაკურიანის გაზის მილსადენის მშენებლობა (300 მმ-18კმ)	7.7

VII. მონიტორინგი და შეფასება

ზემოთ მოცემულ IV მუხლში შეთხზებული ინდიკატორები შესაძლოა დამატებით დაიხვეწოს განხორციელების წერილებში, სადაც წარმოდგენილ იქნება დამატებითი აღწერა, რაოდენობები, პერიოდულობა და შესაბამისი წყაროები, ან მონაცემების მოპოვებისა და შეფასების საშუალებები. განხორციელების წერილებით განსაზღვრული მისაღწევი მაჩვენებლები დაეფუძნება არსებულ ტენდენციებს და USAID-ის, გრანტის მიმღებისა და სხვა დონორთა ინტერვენციების წინასწარ შეფასებულ შედეგებს. სავარაუდო მაჩვენებლები გადაისიჯნება და საჭიროებისამებრ მოხდება მათი კორექტირება დამატებითი მონაცემების მიღებისთანავე.

USAID მიზნად ისახავს დამოუკიდებელ მესამე მხარედ გამოიყენოს არქიტექტურული და საინჟინრო კომპანია წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქმიანობების მონიტორინგის მიზნით. ამასთან, განხორციელების წერილებით განისაზღვრება მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული გეგმები, რომელიც მოიცავს სპეციალურ შიდა, ერთობლივ, ან მესამე მხარის მიერ შეფასებების განხორციელებას.

USAID-იმ შესაძლოა განახორციელოს მაკორექტირებელი ღონისძიებები, რომელიც დაეფუძნება შესრულებული საქმიანობების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, სტრუქტურულ მონაცემებს, ან მაკორექტირებელი ღონისძიება შესაძლოა განხორციელდეს გრანტის მიმღების თხოვნის საფუძველზე. მაკორექტირებელი ღონისძიება შესაძლოა იყოს შემდეგი, თუმცა ამით არ შემოიფარგლება: მიმდინარე ერთი ან რამოდენიმე საქმიანობის შეწყვეტა, შემცირება, ან სხვა გზით მოდიფიცირება, ან ახალი საქმიანობების დამატება. საქმიანობების განსახორციელებლად სახსრების გამოყოფა შესაძლოა შეწყდეს, შემცირდეს, ან გადანაწილდეს არსებულ საქმიანობებზე, ან ახალ საქმიანობებზე ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

VIII. განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 დანართის, სტანდარტული დებულებების, ბ.5 ნაწილით განსაზღვრულ აუდიტორული შემოწმების დებულებებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ USAID სახსრებს გამოყოფს არაგრანტიორი, შემსრულებელი პარტნიორებისათვის, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უშუალოდ ახორციელებენ რომელიმე საქმიანობას, გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი აუცილებელი აუდიტორული შემოწმების გეგმის გარდა USAID გაითვალისწინებს საჭირო აუდიტორული შემოწმების მოთხოვნის შესახებ დებულებების გათვალისწინებას საშემსრულებლო ხელშეკრულებებში, რომელიც ამგვარ პარტნიორებთან გაფორმდება.

იმდენად, რამდენადაც USAID დააფინანსებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობებს გრანტის მიმღები პირების, ან გრანტის მიმღები პირის მიერ ფლობილი ერთეულების, მაგალითად საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების კომპანიის, - მეშვეობით საშემსრულებლო საგრანტო ხელშეკრულებები, ან კონტრაქტები უნდა შეიცავდეს აუდიტორული შემოწმების ისეთ გეგმებს, რომელიც შეესაბამება სტანდარტული პროცედურების დანართის ბ.5 პუნქტში მოცემულ დებულებებს და შეიცავდეს დებულებებს გრანტის მიმღები ქვეყნის კონტრაქტორების, გრანტის მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ ფლობილი ორგანიზაციების, ასევე იმ სხვა ქვეკონტრაქტორების აუდიტორული შემოწმების მეთოდოლოგიის, დაფინანსებისა და შემოწმების პერიოდულობის შესახებ, რომლებიც უშუალოდ გრანტის მიმღებიდან იღებენ თანხებს.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური გეგმა: ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 წლებისთვის

მიზანი და ღონისძიებები	ვალდებულებების მთლიანი თანხა	დარჩენილი თანხა, რომელზეც უნდა იქნეს აღებული ვალდებულება	მთლიანი მიახლოებითი კონტრიბუცია
ეკონომიკური ზრდა, ინფრასტრუქტურის სფერო, თანამედროვე ენერჯო მომსახურება			
ელექტროგადამცემი ხაზების განახლება, რეკონსტრუქცია და ოპერირება	\$31,000,000	\$2,000,000	\$33,000,000
გაზის ტრანზიტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, გამოცვლა და რეაბილიტაცია	\$81,000,000	\$1,000,000	\$82,000,000
ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისება	\$8,000,000	\$1,555,000	\$9,555,000
სულ	\$120,000,000	\$4,555,000	\$124,555,000

მე-2 დანართი
სტანდარტული დებულებები
შინაარსი

მუხლი ა: განსაზღვრებები და განხორციელების წერილები
პუნქტი ა.1. განსაზღვრებები
პუნქტი ა.2. განხორციელების წერილები

მუხლი ბ: ზოგადი დებულებები
პუნქტი ბ.1. კონსულტაციები
პუნქტი ბ.2. ხელშეკრულების განხორციელება
პუნქტი ბ.3. საქონლისა და მომსახურების გამოყენება
პუნქტი ბ.4. დაბეგვრა
პუნქტი ბ.5. ანგარიშები და ინფორმაცია, ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აუდიტორული შემოწმებები და ინსპექტირება
პუნქტი ბ.6. ინფორმაციის სისრულე
პუნქტი ბ.7. სხვა გადასახდელები
პუნქტი ბ.8. ინფორმაცია და აღნიშვნები

მუხლი გ: შესყიდვის პროცედურები
პუნქტი გ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი
პუნქტი გ.2. შესყიდვის განხორციელების ვადა
პუნქტი გ.3. გეგმები, სპეციფიკაციები და კონტრაქტები
პუნქტი გ.4. გონიერული ფასი
პუნქტი გ.5. პოტენციური მომწოდებლების შეტყობინება
პუნქტი გ.6. ტრანსპორტირება
პუნქტი გ.7. დაზღვევა
პუნქტი გ.8. აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი ქონება

მუხლი დ: გადახდები
პუნქტი დ.1. გადახდები უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯებისათვის
პუნქტი დ.2. გადახდები ადგილობრივ ვალუტაში გასაწევი ხარჯებისათვის
პუნქტი დ.3. გადახდების სხვა ფორმები
პუნქტი დ.4. სავალუტო გაცვლითი კურსი

მუხლი ე: ხელშეკრულების შეწყვეტა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები
პუნქტი ე.1. ხელშეკრულების შეჩერება და შეწყვეტა
პუნქტი ე.2. თანხის დაბრუნება
პუნქტი ე.3. უფლებათა შენარჩუნება მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში
პუნქტი ე.4. უფლების გადაცემა.

მუხლი ვ: სხვადასხვა
პუნქტი ვ.1. ინვესტიციების ხელშეწყობა
პუნქტი ვ.2. ნარკოტიკებით მოვაჭრეების დახმარების აკრძალვა
პუნქტი ვ.3. მომუშავეთა უფლებები
პუნქტი ვ.4. ტერორისტების დაფინანსება
პუნქტი ვ.5. საერთაშორისო კონფერენციებზე უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების დაფინანსების აკრძალვა

სტანდარტული დებულებები

მუხლი ა: განსაზღვრებები და განხორციელების წერილები

პუნქტი ა.1. *განსაზღვრებები.* წინამდებარე დანართში აღნიშნული „ხელშეკრულება“ მიუთითებს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის დანართსა და შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დანართი. ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების ანალოგიური მნიშვნელობა აქვთ.

პუნქტი ა.2. *განხორციელების წერილები.* წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებაში დახმარების მიზნით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო პერიოდულად მოამზადებს განხორციელების წერილებს (შემდგომში, „განხორციელების წერილები“), რომელშიც შეიტანს დამატებით ინფორმაციას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. მხარეებმა შეიძლება ასევე ერთობლივად მოამზადონ *განხორციელების წერილები*, რათა დაადასტურონ და წერილობით გადმოსცენ წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების ასპექტებთან დაკავშირებული საერთო აღქმა. განხორციელების წერილები შეიძლება ასევე მომზადდეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნებადართული გადასინჯვის ან გამონაკლისი შემთხვევების წერილობითი ასახვის მიზნით.

მუხლი ბ: ზოგადი დებულებები

პუნქტი ბ.1. *კონსულტაციები.* მხარეები ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განხორციელება. ამ მიზნით მხარეები, ერთმანეთის თხოვნით, გაცვლიან მოსაზრებებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განხორციელების შედეგების, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, და ყველა იმ კონსულტანტის, კონტრაქტორის, ან მიმწოდებლის საქმიანობის შედეგების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას დებულობენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაში, ასევე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

პუნქტი ბ.2. *ხელშეკრულების განხორციელება.* გრანტის მიმღები ვალდებულია:

(ა) განახორციელოს ხელშეკრულება და ის საქმიანობები, რომელთა უშუალო განხორციელებაც (ან შესრულების უზრუნველყოფაც) გრანტის მიმღებს მოეთხოვება, ან უზრუნველყოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და ამგვარი საქმიანობები შეასრულონ სათანადო გულისხმიერებით და ეფექტურობით, სათანადო ტექნიკური, ფინანსური, და მმართველობითი პრაქტიკის, ასევე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტების, გეგმების, სპეციფიკაციების, კონტრაქტების, შესრულების განრიგების და პირობების, ასევე მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების დაცვით; და

(ბ) უზრუნველყოს კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელების გამოყოფა, და მოამზადოს ამგვარი კადრი წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქმიანობების წარმართვისა და განხორციელებისათვის, ასევე განგრძობითი შინაარსის საქმიანობების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმართვა და განხორციელება ისე, რომ მიღწეულ იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განგრძობადობა და წარმატებული განხორციელება.

პუნქტი ბ.3. საქონლისა და მომსახურების გამოყენება

წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ყველა საქონელი და მომსახურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სხვაგვარად იქნება განსაზღვრული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წერილობით დოკუმენტში, გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესასრულებლად იმ დრომდე, სანამ არ დასრულდება ან არ შეწყდება ეს ხელშეკრულება, ხოლო შემდგომ (ასევე ხელშეკრულების შეჩერების ნებისმიერ პერიოდში) გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ამოცანის შესრულების შემდგომი ხელშეწყობისათვის, ან სხვა მიზნით, როგორც ამას *განხორციელების წერილებში* მიუთითებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

პუნქტი ბ.4. დაბეგვრა

(ა) ზოგადი გათავისუფლება. წინამდებარე ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარება გათავისუფლებულია გრანტის მიმღების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისაგან.

(ბ) (ა) ქვეპუნქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად არის აღნიშნული ამ ქვეპუნქტში, ვრცელდება (1) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ საქმიანობაზე, კონტრაქტზე, გრანტზე ან განხორციელების შესახებ სხვა შეთანხმებაზე; (2) ზემოთ მოცემული (1) პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერ ოპერაციაზე ან საქონლის მოწოდებაზე, აღჭურვილობაზე, მასალებზე, ქონებასა და სხვა საქონელზე (შემდგომში, ერთობლივად „საქონელი“); (3) კონტრაქტორებზე, გრანტის მიმღებებზე, ან სხვა ორგანიზაციაზე, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს; (4) ამგვარი ორგანიზაციების ნებისმიერ თანამშრომელზე; და (5) ნებისმიერ კონტრაქტორზე ან გრანტის მიმღებზე, რომლებიც ფიზიკური პირები არიან, და რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს.

(გ) (ა) ქვეპუნქტში მითითებული გადასახადების გადახდებისაგან განთავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად არის აღნიშნული წინამდებარე ქვეპუნქტში, ვრცელდება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გადასახადებით:

- (1) საბაჟო გადასახადები, ტარიფები, იმპორტის გადასახადები, ან სხვა გადასახადები, რომელიც შემოღებულია საქონლის, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მათი ოჯახის წევრების პირადი საკუთვნობისა და პირადი მოხმარების ნივთების (მათ შორის პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილების) იმპორტზე, გამოყენებასა და რეექსპორტზე. გადასახადებისაგან განთავისუფლება (1) მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ყველა გადასახადებით, რომელიც ეფუძნება ამგვარი იმპორტირებული საქონლის ღირებულებას, თუმცა არ მოიცავს მომსახურებაზე გადასახადებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ საქონლის ან ტვირთის გადატანის მიზნით განხორციელებულ მომსახურებებს.
- (2) საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადი, რომელიც შემოღებულია (i) ნებისმიერი სახის უცხო ქვეყნის ორგანიზაციებზე (ii) ადგილობრივი და უცხო ქვეყნის ორგანიზაციების უცხო ქვეყნის თანამშრომლებზე, ან (iii) უცხო ქვეყნის კონტრაქტორ ფიზიკურ პირებსა და გრანტის მიმღებებზე. ეს მოიცავს მოიცავს ყველა სახის საშემოსავლო და სოციალური დაცვის გადასახადს და ყველა იმ გადასახადს, რომელიც შემოღებულია უცხო ქვეყნის ორგანიზაციების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქონებაზე, როგორც პირადზე, ასევე უძრავ ქონებაზე. ტერმინი 'ადგილობრივი' მიუთითებს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც დაფუძნებულია გრანტის მიმღებ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და ასევე გრანტის მიმღები ქვეყნის მოქალაქეებზე, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომელთაც გააჩნიათ შეერთებულ შტატებში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსი.
- (3) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ბოლო ოპერაციაზე დაწესებული გადასახადები, მათ შორის გაყიდვებზე გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), ან გადასახადები შესყიდვებზე, ან უძრავი ქონების იჯარაზე, ან პირად ქონებაზე. ტერმინი 'ბოლო ოპერაცია' მიუთითებს იმ ბოლო ოპერაციაზე, რომლითაც მოხდა საქონლის ან მომსახურების შესყიდვა იმ საქმიანობებისათვის, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.

(დ) იმ შემთხვევაში, თუ გადასახადი შემოღებულ და გადახდილ იქნა გადასახადების განთავისუფლების შესახებ დებულებების საწინააღმდეგოდ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიძლება (1) მოითხოვოს გრანტის მიმღებისაგან ამ გადასახადების აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის, ან სხვა პირთათვის დაბრუნება, რადგან აშშ-ის

საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრების გარდა უფლება აქვს განკარგოს ამგვარი გადასახადების დაბრუნების შედეგად მიღებული სახსრები, ან (2) ამგვარი გადასახდის თანხა გამოქვითოს იმ თანხებიდან, რომელთა გადახდაც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ან მხარეთა შორის გაფორმებული ნებისმიერი სხვა შეთანხმების მიხედვით.

(ე) გადასახადების განთავისუფლების პირობების გამოყენების თვალსაზრისით არსებული უთანხმოების შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ შეხვედებიან და გადაწყვეტენ ამგვარ საკითხებს, რომლის დროსაც იხელმძღვანელებენ იმ პრინციპით, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული დახმარება თავისუფალია პირდაპირი დაბეგვრისაგან და ამდენად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული ყველა დახმარება ხელს შეუწყობს უშუალოდ გრანტის მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

პუნქტი ბ.5. ანგარიშები და ინფორმაცია, ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აუდიტორული შემოწმებები და ინსპექტირება

(ა) ანგარიშები და ინფორმაცია გრანტის მიმღებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უნდა წარუდგინოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო ჩანაწერები, სხვა ანალოგიური ინფორმაცია და ანგარიშები, რომელთა წარდგენაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო მოითხოვს გონივრულად.

(ბ) ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები გრანტის მიმღები აწარმოებს საბუღალტრო წიგნებს, ჩანაწერებს, დოკუმენტაციასა და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებას, რომელშიც ადექვატურად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აისახება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღების მიერ გაწეული ყველა ხარჯი, მის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების მიღება და გამოყენება, წინასწარშეთანხმებული ხარჯების განაწილების მოთხოვნები, გრანტის მიმღების მიერ საქონლისა და მომსახურების შესაძენად პოტენციური მომწოდებლებისათვის განკუთვნილი ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევის შინაარსი და მონაწილეთა მოცვის მასშტაბი, კონტრაქტის გაცემის საფუძველი და გრანტის მიმღების მიერ განხორციელებული პირდაპირი წესით განხორციელებული დაკვეთები, ასევე მიღწეული საერთო პროგრესი ხელშეკრულების განხორციელების დასრულების თვალსაზრისით ('ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები'). ხელშეკრულების საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები გრანტის მიმღებმა უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, რომელიც გავრცელებულია შეერთებულ შტატებში, ან გრანტის მიმღების გადაწყვეტილები, და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანხმობით, - ბუღალტრული აღრიცხვის სხვა პრინციპების შესაბამისად, მაგალითად ის პრინციპები, რომლებიც (1) დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ

(ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი), ან (2) გაერცელებულია გრანტის მიმღების ქვეყანაში. ხელშეკრულების შესახებ დოკუმენტაცია და ჩანაწერები შეინახება სულ მცირე სამი წლის განმავლობაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული თანხის ბოლო გადახდის თარიღიდან, ან უფრო ხანგრძლივი პერიოდით, რომელიც საჭირო იქნება სასამართლო დავის გადასაწყვეტად, ბრალდებების, ან აუდიტის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე საპასუხოდ, თუკი ამგვარი საჭიროება იარსებებს. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, შევნიშნავთ, რომ ბ.5(ბ) პუნქტი ვრცელდება მხოლოდ საგრანტო თანხებზე, რომელიც უშუალოდ გრანტის მიმღების მიერ დაიხარჯება.

(გ) გრანტის მიმღების აუდიტორული შემოწმება. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ფისკალურ წელს უშუალოდ გრანტის მიმღების მიერ გაიხარჯება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრებიდან \$300,000 ან უფრო მეტი, გრანტის მიმღებმა ამ ხარჯების ფინანსური აუდიტორული შემოწმება უნდა განახორციელოს შემდეგი პირობების დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვა პირობებზე არ შეთანხმდებიან წერილობით:

(1) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანხმობით გრანტის მიმღები აუდიტის ჩატარების თხოვნით მიმართავს ქვეყანაში არსებულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს, ან შეარჩევს დამოუკიდებელ აუდიტორს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალური ინსპექტორის მიერ გამოცემული დოკუმენტის, „დახმარების მიმღები უცხო ქვეყნის მიერ ფინანსური აუდიტორების შერჩევის სახელმძღვანელო მითითებები“ (შემდგომში, „სახელმძღვანელო მითითებები“), რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს აუდიტორული შემოწმებები; და

(2) აუდიტორმა უნდა დაადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გამოყოფილი სახსრების მიღება და გახარჯვა ასახული არის თუ არა ზემოთ მოცემულ (ბ) ქვეპუნქტით შეთანხმებული საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად და გრანტის მიმღებმა დაიცვა თუ არა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ყოველი აუდიტორული შემოწმება უნდა დასრულდეს არა უმეტეს ცხრა თვის განმავლობაში გრანტის მიმღების იმ საანგარიშგებო წლის დასრულებიდან, რომელი წლის ანგარიშგების აუდიტიც ხორციელდება.

(დ) გრანტის თანხის ქვე-მიმღებთა აუდიტორული შემოწმება. გრანტის მიმღები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მისთვის მისაღები ფორმით და შინაარსით, წარუდგენს გრანტის სახსრების 'ფარული' ქვე-მიმღებების მიერ განხორციელებული დანახარჯების აუდიტორული შემოწმების გეგმას. როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული 'ფარული' ქვე-მიმღებები არიან გრანტის სახსრების ის მიმღებები, რომლებიც სახსრებს იღებენ გრანტის მიმღებთან

პირდაპირი კონტრაქტის, ან ხელშეკრულების გაფორმებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების შესასრულებლად.

- (1) 'ფარული' ქვე-მიმღები არის ის, ვინც ხარჯავს 300,000 აშშ დოლარს, ან უფრო მეტ თანხას 'აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ საგრანტო თანხების გაცემის' ფისკალურ წელს (ანუ, როგორც გრანტის ქვე-მიმღები ამ ხელშეკრულების ფარგლებში და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სხვა საქმიანობები).
- (2) აუდიტორული შემოწმების გეგმით განისაზღვრება მეთოდოლოგია, რომელსაც გრანტის მიმღები გამოიყენებს ფარულ ქვე-მიმღებთან მიმართ თავისი აუდიტორული შემოწმების პასუხისმგებლობების შესასრულებლად. გრანტის მიმღებს ამგვარი პასუხისმგებლობები შეუძლია შეასრულოს ქვე-მიმღებთა დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების მეშვეობით; გრანტის მიმღების დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორული შემოწმების სფეროს განვრცობითა და ქვე-მიმღებთა საადრიცხვო ანგარიშების შემოწმების მოცვით; ან აღნიშნული ორივე პროცედურის კომბინაციით.
- (3) აუდიტორული შემოწმების გეგმაში აღინიშნება ფარულ ქვე-მიმღებთათვის გამოყოფილი სახსრები, რომელთა შემოწმებაც განხორციელდება აუდიტის შესახებ სხვა დებულებების დაცვით ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების დროს, და რითაც შესრულდება გრანტის მიმღების აუდიტორული პასუხისმგებლობები. (შეერთებულ შტატებში დაფუძნებულ არამომგებიან ორგანიზაციას მოეთხოვება თვითონ განახორციელოს თავისი აუდიტორული შემოწმების ორგანიზება. შეერთებულ შტატებში დაფუძნებული იმ არამომგებიანი კონტრაქტორის, რომელსაც უშუალოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან აქვს გაფორმებული კონტრაქტი, აუდიტორულ შემოწმებას განახორციელებს აშშ-ის მთავრობის შესაბამისი სააგენტო. კერძო, მოხალისეებზე დაფუძნებული ორგანიზაციას, რომელიც შეერთებულ შტატებში არის დაფუძნებული და რომელიც უშუალოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან დებულობს გრანტს - მოეთხოვება თვითონ განახორციელოს თავისი აუდიტორული შემოწმების ორგანიზება. გრანტის მიმღები ქვეყნის კონტრაქტორის აუდიტორული შემოწმება განხორციელდება გრანტის მიმღების აუდიტორული ორგანოს მიერ.)
- (4) გრანტის მიმღები უზრუნველყოფს, რომ ფარულმა ქვე-მიმღებებმა, რომელთაც გრანტის მიმღებთან პირდაპირი კონტრაქტები ან ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული, განახორციელონ შესაბამისი და დროული მაკორექტირებელი ღონისძიებები; გრანტის მიმღები განსაზღვრავს ქვე-მიმღებთა აუდიტორული შემოწმებები განაპირობებენ თუ არა გრანტის მიმღების საადრიცხვო ჩანაწერების კორექტირებას, და ყოველი ამგვარი ქვე-მიმღებებისაგან მოითხოვს, რომ დამოუკიდებელი

აუდიტორებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ბუღალტრული ჩანაწერები და ფინანსური ანგარიშები, როდესაც კი ამგვარი საჭიროება წარმოიშევა.

- (ე) *აუდიტორის დასკვნები.* გრანტის მიმღები წარუდგენს, ან უზრუნველყოფს, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარუდგინონ აუდიტორის დასკვნა ყველა იმ აუდიტორული შემოწმებისათვის, რომლის ჩატარების ორგანიზება ხელშეკრულების წინამდებარე ნაწილის შესაბამისად განახორციელა გრანტის მიმღებმა. აუდიტორული დასკვნები წარდგენილი უნდა იქნეს აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან 30 დღეში და არა უგვიანეს ცხრა თვისა იმ საანგარიშებო პერიოდის დასრულებიდან, რომელი პერიოდის ანგარიშების აუდიტიც ხორციელდება.
- (ვ) *სხვა ფარული ქვე-მიმღებები.* იმ 'ფარული' ქვე-მიმღებების შემთხვევაში, რომელთაც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული აქვთ პირდაპირი კონტრაქტები ან ხელშეკრულებები, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აღნიშნული კონტრაქტებში ან ხელშეკრულებებში შეიტანს აუდიტორული შემოწმების შესაბამის მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების მიხედვით წარმოდგენილ აუდიტორის დასკვნებთან დაკავშირებით გრანტის მიმღების სახელით განახორციელოებს შემდგომ ღონისძიებებს.
- (ზ) *აუდიტორული შემოწმების ხარჯები.* ხელშეკრულების ამ ნაწილით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ხარჯები, რომელზეც საჭიროა გაიცეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წერილობითი თანხმობა, შეიძლება გადახდილ იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების თანხიდან.
- (თ) *აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ აუდიტორული შემოწმების განხორციელება.* აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებას განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები გრანტის მიმღების სახელით, რომლისთვისაც გამოიყენებს წინამდებარე ხელშეკრულების თანხებს, ან სხვა რესურსებს, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გააჩნია ამ მიზნისათვის; განახორციელოს ფინანსური საქმიანობის მიმოხილვა, ან სხვაგვარად უზრუნველყოს იმ ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება, რომლებიც ხარჯავენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრებს მიუხედავად იმისა, მათ მიმართ არსებობს თუ არა აუდიტორული შემოწმების მოთხოვნა.
- (ი) *აუდიტორული შემოწმების ან ინსპექტირების შესაძლებლობა.* გრანტის მიმღებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, ყოველ გონივრულ დროს, განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული საქმიანობების, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების

სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქონლის ან მომსახურებების გამოყენების, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნების, სააღრიცხვო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების აუდიტორული შემოწმება ან ინსპექტირება.

- (კ) *ქვე-მიმღებთა საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები.* გრანტის მიმღები წინამდებარე პუნქტის (ა), (ბ), (დ), (ე), (ზ), (თ) და (ი) ქვეპუნქტებს შეიტანს ქვე-ხელშეკრულებებში, რომელსაც გააფორმებს იმ არა-ამერიკულ ორგანიზაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე პუნქტის (გ) ქვეპუნქტით 300,000 აშშ დოლარის ოდენობით განსაზღვრული ხარჯების გაწვევის მაქსიმალურ ზღვარს. იმ არა-ამერიკულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ქვე-ხელშეკრულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ხარჯების გაწვევის 300,000 აშშ დოლარიან მაქსიმალურ ზღვარს, მინიმუმ უნდა შეიცავდეს (თ) და (ი) ქვეპუნქტებს. აშშ-ში რეგისტრირებულ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ქვე-ხელშეკრულებებში უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში დარეგისტრირებული ორგანიზაცია ექვემდებარება *მართვისა და საბიუჯეტო ოფისის (OMB) A-133* ცირკულარით განსაზღვრულ აუდიტორული შემოწმების მოთხოვნებს.

პუნქტი ბ.6. *ინფორმაციის სისრულე.* გრანტის მიმღები ადასტურებს, რომ:

(ა) ის ფაქტები და გარემოებები, რომელთა შესახებაც მან აცნობა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან უზრუნველყო, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის ეცნობებინათ, ზუსტია და სრული და მოიცავს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე; და

(ბ) იგი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დროულად აცნობებს ნებისმიერ შემდგომ ფაქტსა და წარმოშობილ გარემოებას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს, ან გონივრულია ვიფიქროთ, რომ მოახდენს ამ ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე.

პუნქტი ბ.7. *სხვა გადასახდელები.* გრანტის მიმღები ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქონლის ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით გრანტის მიმღების არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღია, ან არ მიიღებს რაიმე თანხას გარდა იმ მოსაკრებლებისა, გადასახადებისა, ან ანალოგიური გადასახადებისა, რომელსაც ითვალისწინებს გრანტის მიმღების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა.

პუნქტი ბ.8. *ინფორმაცია და აღნიშვნები.* გრანტის მიმღები ფართო საზოგადოებისათვის სათანადოდ გააშუქებს ამ ხელშეკრულებას, როგორც ისეთ პროგრამას, რომელშიც წვლილი შეიტანა შეერთებულმა შტატებმა, შესაბამის აღნიშვნებს გააკეთებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების ადგილებში, და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საქონელზე გააკეთებს ისეთ აღნიშვნას, როგორც ეს *განხორციელების წერილებით* იქნება განსაზღვრული.

დანართი ბ: შესყიდვის პროცედურები

პუნქტი ბ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი

ბ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი

(ა) გარდა იმ შემთხვევებისა, როგორც ეს აღნიშნულია ამ პუნქტში, ან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმებული ქვე-ხელშეკრულებაში, საგრანტო თანხები გამოიყენებულ იქნება იმ საქონლისა და მომსახურების ხარჯების დასაფარად, რომელთა წარმოშობის წყარო და ადგილი, ხოლო საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლებთან მიმართებით - მათი ეროვნება, არის ქვეყნებში, რომელთა გეოგრაფიული კოდი 000 და 110 (აშშ, საქართველო და ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნები). ამ მოთხოვნის გამონაკლისი შემთხვევები მოიცავს ადგილობრივი შესყიდვის ოპერაციებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოლიტიკის შესაბამისად, ან ისეთ შესყიდვებს, რომლებიც განხორციელდება მას შემდეგ, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან მიღებულ იქნება წარმოშობის წყაროსთან, ადგილსა და ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებულ უფლებებზე წერილობითი თანხმობა.

ამასთან:

(1) საოკეანო გადაზიდვების ხარჯები დაფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ იმ მცურავი საშუალებების შემთხვევაში, რომლებიც ცურავენ იმ დროშის ქვეშ, რომელიც შეტანილია 935-ე კოდეში აღნიშნული ქვეყნების დროშების რეესტრში.

(2) გრანტის მიმღების ქვეყანა საზღვაო დაზღვევისათვის უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯების უფლებამოსილი წყაროა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ბ.7(ა) პუნქტით.

(3) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები წარმოებული უნდა იყოს შეერთებული შტატების მწარმოებლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად განსაზღვრავს ამას წერილობით.

(ბ) ადგილობრივი ვალუტაში გასაწევი ხარჯები. ადგილობრივი ვალუტაში გასაწევი ხარჯებისათვის განხორციელებული გადახდები ექსკლუზიურად გამოიყენებულ იქნება წინამდებარე ხელშეკრულებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურებების დასაფინანსებლად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი შესყიდვების პოლიტიკით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი იქნება განხორციელების წერილში.

(ვ) საოკეანო და საჰაერო გადაზიდვის წარმოშობის წყაროდ და ადგილად მიჩნეულ იქნება გადაზიდვის დროს საოკეანო მცურავი საშუალების, ან მფრინავი საშუალების რეგისტრაციის ქვეყანა.

(დ) იმ საქონელის და მომსახურებების შესახებ დებულებები, რომელთა შექმნაც შეზღუდულია, ან დაუშვებელია, წარმოდგენილ იქნება *განხორციელების წერილში*.

(ე) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ქონების საჰაერო გადაზიდვა, ან პირთა საჰაერო ტრანსპორტირება განხორციელდება იმ საჰაერო მფრინავი საშუალებებით, რომელთაც გააჩნიათ შეერთებული შტატებში გაცემული სერტიფიკატი იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მფრინავი საშუალებების მომსახურება დაშვებულია *ამერიკული მფრინავი საშუალებების შესახებ კანონით*. ეს მოთხოვნა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შეიძლება დამატებით აღწეროს *განხორციელების წერილებში*.

პუნქტი ბ.2. *შესყიდვის განხორციელების ვადა*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არ დაფინანსდება ის საქონელი, ან მომსახურება, რომელიც შექმნილ იქნა იმ შეკვეთების ან კონტრაქტების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა და ძალაში შევიდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით.

პუნქტი ბ.3. *გეგმები, სპეციფიკაციები და კონტრაქტები*. შემდეგ საკითხებზე საერთო შეთანხმების არსებობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით:

(ა) გრანტის მიმღებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მომზადებისთანავე უნდა წარუდგინოს:

(1) ნებისმიერი გეგმა, სპეციფიკაციები, შესყიდვების ან მშენებლობის განრიგები, კონტრაქტები, ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გრანტის მიმღებსა და მესამე მხარეს შორის უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებით დასაფინანსებელ საქონელთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით, მათ შორის კონტრაქტორების წინასკვალისფიკაციო შერჩევასა და კონტრაქტორების შერჩევასთან, ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევის შინაარსი და სატენდერო წინადადებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ანალოგიურად, ამგვარ დოკუმენტაციაში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარედგინება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ცვლილებების მომზადების დასრულებისთანავე; და

(2) დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი ისეთი საქონლის ან მომსახურების შესყიდვასთან, რომელიც არ ფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიაჩნია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებისათვის, ასევე წარედგინება აშშ-ის საერთაშორისო

განვითარების სააგენტოს მისი მომზადებისთანავე. წინამდებარე ა)(2) ქვეპუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ასპექტები იდენტიფიცირებული იქნება *განხორციელების წერილებში*.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით კონტრაქტორების წინასწავალიფიკაციო შერჩევასა და ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევასთან, ან წინადადებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ გამოქვეყნებამდე, წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მათ პირობებში აისახება შეერთებული შტატების სტანდარტები და კრიტერიუმები;

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ იმ კონტრაქტებსა და კონტრაქტორებს, რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან საინჟინრო და სხვა პროფესიული მომსახურების, სამშენებლო მომსახურების, და სხვა ამგვარი მომსახურების შესასრულებლად, აღჭურვილობის, ან მასალების მოსაწოდებლად, როგორც ეს შეიძლება აღინიშნოს *განხორციელების წერილებში*, - წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო კონტრაქტის გაფორმებამდე. ამ კონტრაქტებში შესატან მნიშვნელოვან ცვლილებებს, მათი კონტრაქტში შეტანამდე, ასევე წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; და

(დ) იმ საკონსულტაციო ფირმების მომსახურების სფერო, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს გრანტის მიმღები წინამდებარე ხელშეკრულებისათვის, მაგრამ არ ფინანსდება ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ან ამ ფირმების პერსონალის მოქმედების სფერო, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ საქმიანობებზე იმუშავენ, როგორც ეს შეიძლება განსაზღვროს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, ასევე გრანტის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისათვის გამოყენებული სამშენებლო კონტრაქტორები, რომლებიც არ ფინანსდებიან ხელშეკრულების სახსრებით, მისაღები იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის.

პუნქტი ბ.4. *გონივრული ფასი*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული ნებისმიერი საქონლისათვის ან მომსახურებისათვის არ იქნება გადახდილი გონივრულ ფასზე უფრო მეტი. მათი შექმნა განხორციელდება სამართლიან, და რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაქსიმალურად კონკურენტულ საფუძველზე.

პუნქტი ბ.5. *პოტენციური მომწოდებლების შეტყობინება*. წინამდებარე ხელშეკრულებით დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების მოწოდებაში შეერთებული შტატების ყველა ფირმებისათვის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემის მიზნით გრანტის მიმღები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარუდგენს ამ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას იმ დროს, როგორც ეს შეიძლება მოითხოვოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ *განხორციელების წერილებში*.

პუნქტი ბ.6. ტრანსპორტირება

- (ა) ბ.1(ა) პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, საოკეანო ან საჰაერო ხომალდებით ტრანსპორტირებისა და ტვირთის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები არ დაფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები განკუთვნილია იმ საოკეანო ან საჰაერო გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანსპორტირებისათვის, რომელიც არ იქნა წინასწარ დამტკიცებული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.
- (ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაადგენს, რომ აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავი კერძო მფლობელობაში არსებული კომერციული საოკეანო ხომალდები არ არის ხელმისაწვდომი ამგვარი ხომალდებისათვის სამართლიანი და გონივრული ფასის ფარგლებში, ან სხვა მიზეზის გამო, იგი წერილობით თანხმდება, რომ:
- (1) ყველა იმ საქონლის მთლიანი ტონაჟის მინიმუმ ორმოცდაათი პროცენტი (50%) (ეს პროცენტი ცალკე გამოითვლება მშრალი, შეუფუთავი ტვირთის გადაზიდვებისათვის, მშრალი ტვირთის ლაინერებისა და ტანკერებისათვის), რომელიც ფინანსდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ, და რომლის ტრანსპორტირებაც შეიძლება მოხდეს საოკეანო ხომალდებით, გადაიზიდება აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავი კერძო, კომერციული ხომალდებით; და
 - (2) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული მშრალი ტვირთის ლაინერების მეშვეობით გრანტის მიმღების ტერიტორიაზე შემოტანილი ტვირთების გადაზიდვებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის მინიმუმ ორმოცდაათი პროცენტი (50%) გადახდილი უნდა იქნეს აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავ კომერციულ ხომალდებისათვის ან გადახდილ იქნეს მათ სასარგებლოდ. წინამდებარე პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს როგორც აშშ-ის პორტებიდან შემოტანილი ნებისმიერ ტვირთთან, ასევე სხვა ქვეყნების პორტებიდან შემოტანილ ტვირთებთან დაკავშირებით, რომელთა გაანგარიშებაც ცალკე მოხდება.

პუნქტი ბ.7. დაზღვევა

- (ა) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული, გრანტის მიმღების ტერიტორიაზე შესატანი ტვირთების საზღვაო დაზღვევა შეიძლება დაფინანსდეს როგორც უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯები, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ.

- (1) ამგვარი დაზღვევა გახორციელდება ყველაზე მომგებიანი კონკურენტუნარიანი განაკვეთით;
- (2) ამგვარ დაზღვევას განახორციელებს ისეთი ქვეყანა, რომელიც უფლებამოსილია ბ.1(ა) პუნქტის მიხედვით; და
- (3) დაზღვევის თანხებზე მოთხოვნები გადახდილ იქნება აშშ დოლარებში, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად დათანხმდება წერილობით.

თუ გრანტის მიმღები (ან გრანტის მიმღების მთავრობა) კანონის, დადგენილების, განკარგულების, მარეგულირებელი აქტის, ან პრაქტიკის მეშვეობით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ შესყიდვებთან დაკავშირებით განახორციელებს დისკრიმინაციას საზღვაო დაზღვევის ნებისმიერი კომპანიის მიმართ, რომელიც უფლებამოსილია შეერთებული შტატების ნებისმიერ შტატში განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა, ასეთ შემთხვევაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ყველა ის საქონელი, რომლის ტრანსპორტირებაც ხორციელდება გრანტის მიმღების ტერიტორიაზე, დაზღვეული იქნება საზღვაო რისკებზე და ამგვარი დაზღვევა განთავსდება შეერთებულ შტატებში მოქმედ იმ კომპანიაში, ან კომპანიებში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზღვაო დაზღვევა განახორციელონ შეერთებულ შტატებში.

- (ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად თანხმდება წერილობით, გრანტის მიმღები დააზღვევს, ან უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული და წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის დაზღვევას იმ სატრანზიტო რისკებზე, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნით მათი გამოყენების ადგილამდე ტრანსპორტირებასთან; ამგვარი დაზღვევა დაეფუძნება სათანადო კომერციულ პრაქტიკის დროს გამოყენებულ პირობებს და დაზღვეული იქნება საქონლის მთლიანი ღირებულება. ნებისმიერი კომპენსაცია, რომელსაც გრანტის მიმღები ამგვარი დაზღვევის ფარგლებში მიიღებს, გამოყენებული იქნება დაზღვეული საქონლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი დაზიანების, ან დანაკარგის შესაკეთებლად ან გამოსაცვლელად. საქონლის ნებისმიერი ამგვარი გამოცვლა განხორციელდება იმ წარმოშობის წყაროსა და ადგილის ქვეყნებში წარმოებული საქონლით, რომელიც მოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს 000/110 გეოგრაფიულ კოდში, რომელიც ძალაში იქნება საქონლის გამოცვლის დროს, და დაექვემდებარება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

პუნქტი ბ.8. აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი ქონება. გრანტის მიმღები თანხმდება, რომ როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ახალი საქონლის ნაცვლად გამოყენებული იქნეს აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი პირადი

ქონება. წინამდებარე ხელშეკრულების სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნეს ამგვარი ქონების მიღების ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი დ: გადახდები.

პუნქტი დ.1. გრანტის მიმღებისათვის პირდაპირი გადახდების შემთხვევაში გადახდების განხორციელება შეიძლება განხორციელდეს იმ მეთოდებით, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან წერილობით.

პუნქტი დ.2. *სავალუტო გაცვლითი კურსი.* იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი თანხები მოთანამშრომლე ქვეყანაში შეტანილ იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ვალდებულებების განსახორციელებლად, გრანტის მიმღები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს, რომ ამგვარი თანხების კონვერტაცია მოხდეს კანონიერად, ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაციის მომენტში არსებული ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსით, რომელიც გააჩნია საქართველოს ეროვნულ ბანკს.

მუხლი ე: ხელშეკრულების შეწყვეტა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები

პუნქტი ე.1. ხელშეკრულების შეჩერება და შეწყვეტა

(ა) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის შესახებაც მეორე მხარეს გაუგზავნის წერილობითი შეტყობინებას ოცდაათი დღით (30) ადრე. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ასევე შეუძლია ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის შესახებაც გრანტის მიმღებს გაუგზავნის წერილობითი შეტყობინებას ოცდაათი დღით (30) ადრე. ამასთან, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნისთანავე იმ შემთხვევაში, თუ (i) გრანტის მიმღები არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე დებულებას, (ii) ადგილი ექნება ისეთ მოვლენას, რის გამოც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გადაწყვეტს, რომ ამ მოვლენის გამო სავარაუდოდ შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების ამოცანის ან პროგრამის კომპონენტების განხორციელება, ან (iii) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდის განხორციელება ან ამ სახსრების გამოყენება დაარღვევს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მარეგულირებელ კანონმდებლობას, რომელიც ამჟამად მოქმედებს, ან შემდგომში შევა ძალაში.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებამდე მხარეების მიერ მესამე მხარეების წინაშე აღებული თანხის გადახდის იმ ვალდებულებების გარდა, რომლებიც არ ექმნება გაუქმებას,

წინამდებარე ხელშეკრულების შეჩერების, მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმების შედეგად შეჩერდება (იმ პერიოდით, რომლითაც შეჩერებულ იქნება ხელშეკრულების მოქმედება), ან შეწყდება ხელშეკრულების განხორციელების, ან მისი შეჩერებული ან შეწყვეტილი ნაწილის განხორციელების მიზნით ფინანსური ან სხვა რესურსების გამოყოფის შესახებ მხარეთა მიერ აღებული ნებისმიერი ვალდებულება. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ იქნება შეჩერებული, ან შეწყვეტილი, სრულად დარჩება ძალაში.

- (გ) ამასთან, ხელშეკრულების ამგვარი სრული ან ნაწილობრივი შეჩერების შემდეგ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, თავისი ხარჯებით, შეიძლება გადაწყვიტოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით, ან მისი შესაბამისი ნაწილით დაფინანსებული საქონლის ფლობის უფლება გადაეცეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიწოდების ეტაპზეა.

პუნქტი 2.2. თანხის დაბრუნება

- (ა) გრანტის მიმღებისათვის თანხის ნებისმიერი გადარიცხვების შემთხვევაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად არ არის გამყარებული კანონიერი დოკუმენტაციით, ან რომელიც გაცემულ ან გამოყენებულ იქნა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობის, ან მათი გამოყენებისა - შეუძლია მოსთხოვოს გრანტის მიმღებს ამგვარად გაცემული თანხა აშშ დოლარებში დაუბრუნოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ამგვარი მოთხოვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამოც (60) დღეში.
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა განაპირობებს წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ, ან მხარდაჭერით შექმნილი საქონლის, ან მომსახურების არაეფექტურად გამოყენებას ამ ხელშეკრულების შესაბამისად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეუძლია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ამგვარი საქონლის ან მომსახურების შექმნის მიზნით მის მიერ განხორციელებული გადახდების აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება აშშ დოლარებში აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამოც (60) დღეში.
- (გ) (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლება გადახდების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების მიუხედავად, ძალაშია ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ბოლო გადახდის დღიდან სამი წლის განმავლობაში.

(დ) (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებით, ან (2) პუნქტით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის კონტრაქტორის, მომწოდებლის, ბანკის ან მესამე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქონელთან, ან მომსახურებასთან დაკავშირებით, როდესაც თანხის დაბრუნება განპირობებულია საქონლის ან მომსახურების არაგონივრული ფასით, ან შეცდომით მომზადებულ ანგარიშფაქტურით, ან ისეთი საქონლით, რომელიც არ შეესაბამება სპეციფიკაციებს, ან არაადექვატური მომსახურებით, გამოყენებულ იქნება (ა) პირველ რიგში ხელშეკრულების ფარგლებში, რამდენადაც ამის დასაბუთება მოხდება, და (ბ) დარჩენილი თანხა, თუ ამგვარი თანხა იარსებებს, გამოყენებულ იქნება გრანტის თანხის შესამცირებლად.

(ე) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის მიმღებისათვის განხორციელებულ გადახდებზე დარიცხული ნებისმიერი საპროცენტო შემოსავალს, ან სხვა შემოსულობას, რომელიც მიღებულ იქნება იმ დრომდე, სანამ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის თანხების ნებადართული გამოყენება, გრანტის მიმღები დაუბრუნებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აშშ დოლარებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად დათანხმდება წერილობით.

პუნქტი 3. უფლებათა შენარჩუნება მათი გამოყენებლობის შემთხვევაში. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში რომელიმე მხარის მიერ ფინანსურ მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლების ან სამართლებრივი საშუალების დაგვიანებით გამოყენება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც ამგვარ უფლებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე უარის თქმა.

პუნქტი 4. უფლების გადაცემა. გრანტის მიმღები თანახმაა, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მოთხოვნისთანავე აღასრულოს სამართლებრივი უფლება, რომლის განხორციელება გრანტის მიმღებს შესაძლოა ნებისმიერი მოტივაციით დაეკისროს კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, ან რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამგვარი საქმიანობისას, ან იმ მხარის მიერ საკონტრაქტო პირობების დარღვევის შედეგად, რომელსაც პირდაპირი კონტრაქტი აქვს გაფორმებული აშშ დოლარებში, და რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დააფინანსა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრებიდან.

მუხლი 3: სხვადასხვა

პუნქტი 3.1. ინვესტიციების ხელშეწყობა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულებით, ან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ სხვა წერილობით დოკუმენტით სპეციალურად განსაზღვრული შემთხვევების გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრები, ან სხვა მხარდაჭერა არ უნდა იქნეს

გამოყენებული ისეთი საქმიანობაში, რომელიც მოიცავს ინვესტიციების ხელშეწყობას უცხო ქვეყანაში.

- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღებს მიმართავენ დახმარების თხოვნით, ან თვითონ სურს დახმარების გაწევა ზემოაღნიშნულ სფეროში, ან საჭიროებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული საქმიანობა ზემოაღნიშნულ შეზღუდვას, გრანტის მიმღები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აცნობებს და წარუდგენს შეთავაზებული საქმიანობის დეტალურ აღწერას. გრანტის მიმღები არ დაიწყებს საქმიანობას იმ დრომდე, სანამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან არ მიიღებს რჩევას, რომ მას შეუძლია დაიწყოს საქმიანობა.
- (გ) გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის, ქვე-კონტრაქტორებისა და ქვე-მიმღებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციების ხელშეწყობის მომსახურებებს - ინფორმაციის მიწოდება ამ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვების შესახებ და ეს პუნქტი შეიტანოს ყველა ქვე-კონტრაქტებსა და სხვა ქვე-ხელშეკრულებებში.

პუნქტი მ.3. ნარკოტიკებით მოვაჭრეების დახმარების აკრძალვა

- (ა) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო უფლებას იტოვებს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან გაატაროს სხვა შესაბამისი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები, ან გრანტის მიმღების რომელიმე ძირითად წარმომადგენელს მსჯავრს დასდებენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში, ან დადგინდება მისი მონაწილეობა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, როგორც ეს განსაზღვრულია *ფედერალური მარეგულირებელი წესების კოდექსის* 22-ე კარის 140-ე ნაწილით.
- (ბ) გრანტის მიმღები თანხმდება, რომ არ გადარიცხავს თანხას, ან ხელს არ მოაწერს ისეთ დოკუმენტებს, რომელიც გრანტის მიმღებს დაავალდებულებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ წარდგენილ ქვე-მიმღებს ("წარდგენილი ქვე-მიმღები") გადაურიცხოს თანხა იმ დრომდე, სანამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო არ აცნობებს გრანტის მიმღებს, რომ: (1) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაასრულა წარდგენილ ქვე-მიმღებსა და მის ძირითად წარმომადგენლებთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვა; (2) მოპოვებულ იქნა ყველა შესაბამისი სერტიფიცირება; და (3) დამტკიცებულ იქნა დახმარება წარდგენილი ქვე-მიმღებისათვის.
- (1) გრანტის მიმღებმა შემდეგი მუხლი, ან მისი არსი უნდა შეიტანოს შერჩეულ ქვე-მიმღებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში:
- (2) გრანტის მიმღები უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ხელშეკრულება ან გაატაროს სხვა შესაბამისი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუ ქვე-მიმღები, ან ქვე-მიმღების რომელიმე ძირითად წარმომადგენელს მსჯავრს დასდებენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში, ან დადგინდება მისი მონაწილეობა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, როგორც ეს განსაზღვრულია

პუნქტი 3.4. მომუშავეთა უფლებები

- (ა) დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების ან მხარდაჭერის გამოყენება ნებისმიერი ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც დაკავშირებულია მომუშავეთა უფლებებთან უცხო ქვეყანაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონკრეტულად არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან სხვა წერილობითი დოკუმენტის სახით ნებადართული იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღებს მიმართავენ დახმარების თხოვნით, ან თვითონ სურს დახმარების გაწევა ზემოაღნიშნულ სფეროში, ან საჭიროებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული საქმიანობა ზემოაღნიშნულ შეზღუდვას, გრანტის მიმღები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს აცნობებს და წარუდგენს შეთავაზებული საქმიანობის დეტალურ აღწერას. გრანტის მიმღები არ დაიწყებს საქმიანობას იმ დრომდე, სანამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან არ მიიღებს რჩევას, რომ მას შეუძლია დაიწყოს საქმიანობა.
- (გ) გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის, ქვე-კონტრაქტორებისა და ქვე-მიმღებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ დასაქმებასთან დაკავშირებულ მომსახურებებს - ინფორმაციის მიწოდება ამ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვების შესახებ და ეს პუნქტი შეიტანოს ყველა ქვე-კონტრაქტებსა და სხვა ქვე-ხელშეკრულებებში.

პუნქტი 3 F.5 *ტერორისტების დაფინანსება*. გრანტის მიმღებს შევახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებულებებით და აშშ კანონმდებლობით აკრძალულია ტრანზაქციების განხორციელება, რესურსების მიწოდება და მხარდაჭერა იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ასოცირებულნი არიან ტერორიზმთან და შეყვანილნი არიან აშშ სახაზინო დეპარტამენტის (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა აქტივების კონტროლის სამსახური) მიერ შედგენილ *სპეციალური კატეგორიის მოქალაქეებისა და ქონებადაყადებულ პირთა სიაში*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები პასუხისმგებელია უზრუნველყოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და კანონების დაცვა. აღნიშნული დებულება შეტანილი უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ ყველა ქვე-კონტრაქტში, ან გრანტის ქვე-მიმღებთა ხელშეკრულებებში.

პუნქტი F.6 *საერთაშორისო კონფერენციებზე უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების დაფინანსების აკრძალვა*. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას წერილობით სხვაგვარად განსაზღვრავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრები, რომელთა მოწოდებაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ

განხორციელდა საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების, ექსპორტის დაფინანსებისა და შესაბამისი პროგრამების ასიგნებების შესახებ აქტის მიხედვით აშშ-ის მთავრობისათვის 1999 წლის ფისკალური წლის შემდეგ ფისკალურ წელს, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციის სპონსორობით გამართულ საერთაშორისო კონფერაციაზე დასასწრებად უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციის არც ერთი წევრის მგზავრობის, დღიური თანხის, სასტუმროს ხარჯების, კვების, კონფერენციებზე დასწრების საფასურის, ან კონფერენციების სხვა ხარჯების დაფინანსებისათვის. აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება დამატებით აღიწეროს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებულ განხორციელების წერილებში.

ცვლილება ნომერი ერთი

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება № AAG-114-G-10-00001

2010 წლის 29 სექტემბერი

ცვლილება ნომერი ერთი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით („USAID“) და საქართველოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში „გრანტის მიმღები“) შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 25 თებერვალს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია აღნიშნული დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და

ვინაიდან, გრანტის მიმღებსა და USAID-ს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ (ა) USAID-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანი თანხა გაიზარდოს \$120,000,000-დან \$123,260,000-მდე; (ბ) საქართველოს მთავრობის მონაწილეობა გაიზარდოს \$39,600,000-დან \$41,086,666-მდე; (გ) „სუფთა ენერჯის ინიციატივა“ და „დამხმარე ხარჯები“ დაემატოს განვრცობილ აღწერას და ფინანსურ გეგმას და (დ) USAID-ის მთლიანი მიახლოებითი კონტრიბუცია გაიზარდოს \$2,260,000-ით აღნიშნული ორი პროექტის მხარდასაჭერად,

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ხელშეკრულების პუნქტი 3.1-ის (ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობა) (ა) ქვეპუნქტის პირველი წინადადება წაიშლება სრულად და შემდეგით ჩანაცვლდება:

„(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დახმარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით USAID გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოცდასამ მილიონ ორასსამოცი ათას აშშ დოლარს (\$123,260,000) („გრანტი“).“

2. პუნქტი 3.2.-ის (ბ) ქვეპუნქტის მესამე ხაზი, აშშ დოლარში მოცემული თანხის ოდენობა „\$39,600,000“ წაიშლება და ჩანაცვლდება „\$41,086,666“-ით.

3. შემდეგი პირობები დაემატება დანართი 1-ის V პუნქტის (საქმიანობების/საქმიანობის ნაწილი) (გ) ქვეპუნქტის შემდეგ:

„(დ) „საქართველოს სუფთა ენერჯის ინიციატივა“ (\$ 1.5 მილიონი). აღნიშნული ღონისძიება საქართველოს მთავრობას უზრუნველყოფს კერძო სექტორზე ორიენტირებული ეფექტური

სისტემით, რომელიც გულისხმობს განახლებადი ენერჯიების გამოყენებას ერთიან ენერჯოსისტემაზე არამიერთებულ სოფლებისათვის სუფთა და ხელმისაწვდომი ენერჯიის მისაწოდებლად. ერთიან ქსელს მიღმა დარჩენილი 29 თემისათვის ენერჯიის მიწოდება განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სექტორში ეკონომიკურ ზრდას დაავადებების დამარცხების მეშვეობით (გაყინვით, განათებით, სტერილიზაციით და ა.შ.), განათლების დონის გაუმჯობესებას (განათების, გათბობის, კომპიუტერებისა და ინტერნეტით მომსახურების მეშვეობით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას (ირიგაცია, შენახვა, გადამუშავება და ა.შ.). ენერჯო მომსახურების უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდისათვის დამახასიათებელი პერსპექტივების დასახვა მცირე ბიზნესის საწარმოო ნიადაგს შექმნის.“

„(ე) პროგრამის მხარდაჭერა (\$760 ათასი). აღნიშნულით დაფინანსდება ადმინისტრაციული მხარდაჭერა და პროგრამის (პროგრამების) ზედამხედველობა, რომელიც დაფინანსებულ უნდა იქნეს წინამდებარე დახმარების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.“

4. პუნქტი 3.1.-ის (ბ) ქვეპუნქტის მეორე წინადადებაში აშშ დოლარში მოცემული თანხის ოდენობა \$124,555,000 წაიშლება და ჩანაცვლდება “\$126,815,000“-ით.

5. დანართი 1-ის VI პუნქტის (ა) ქვეპუნქტის პირველი ხაზში, აშშ დოლარში მოცემული თანხის ოდენობა \$124,555,000 წაიშლება და ჩანაცვლდება “\$126,815,000“-ით.

6. დანართი 1-ის, „აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს ფინანსური გეგმა: ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 წლებისათვის“ ცხრილი წაიშლება სრულად და ჩანაცვლდება შემდეგნაირად:

მიზანი და ღონისძიებები	ვალდებულე ბის მთლიანი თანხა	კონტრიბუცია ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ*	დარჩენილი თანხა, რომელზეც უნდა იქნეს აღებული ვალდებულება	მთლიანი მიახლოებითი კონტრიბუცია
ეკონომიკური ზრდის მიზანი, ინფრასტრუქტურის სფერო,, თანამედროვე ენერჯო მომსახურება				
ელექტროგადამცემის განახლება, რეკონსტრუქცია და ოპერირება	\$31,500,000	\$0	\$1,500,000	\$33,000,000
გაზის ტრანზიტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეცვლა და რეაბილიტაცია	\$81,500,000	\$0	\$500,000	\$82,000,000
ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისება	\$8,000,000	\$1,510,000	\$45,000	\$9,555,000
საქართველოს სუფთა ენერჯიის ინიციატივა	\$1,500,000	\$0	\$0	\$1,500,000
პროგრამის მხარდაჭერა	\$760,000	\$0	\$0	\$760,000
სულ	\$123,260,000	\$1,510,000	\$2,045,000	\$126,815,000

მ

• მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნული წარმოადგენს USAID-ის კონტრიბუციას ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისების პროგრამაში, რომელზეც ვალდებულება აღებულია განხორციელების ხელშეკრულებებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები არ შედის ვალდებულების თანხაში, ეს თანხები განიხილება, როგორც USAID-ის მთლიანი მიახლოებითი კონტრიბუცია ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მხარდასაჭერად. აღნიშნული პირდაპირ ნაკისრი კონტრიბუცია მოიცავს:

NARUC - \$175,000

შავი ზღვის ინიციატივა - \$225,000

SynEnergy - \$180,000


ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისება - \$930,000

სულ: \$1,510,000

7, ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ერთს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები



სახელი, გვარი: Jonathan M. Conly

თანამდებობა: Mission Director
USAID/Caucasus



სახელი, გვარი: კახა ბაინდურაშვილი

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ცვლილება ნომერი ერთი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.



ცვლილება ნომერი ორი

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-00001

2011 წლის 30 სექტემბერი

ცვლილება ნომერი ორი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით და საქართველოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან, გრანტის მიმრეგება და USAID-მა 2010 წლის 25 თებერვალს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია აღნიშნული დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულება") დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და

ვინაიდან, გრანტის მიმღებსა და USAID-ს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ (ა) USAID-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანი თანხა გაიზარდოს \$123,260,000-დან \$128,012,670-მდე; (ბ) საქართველოს მთავრობის მონაწილეობა გაიზარდოს \$41,086,666-დან \$42,244,181.10-მდე; (გ) "შემუშავება და ზედამხედველობა" დაემატოს ფინანსურ გეგმას და (დ) USAID-ის მთლიანი დახმარება გაიზარდოს \$3,325,014-ით რათა გამოყოფილ იქნას დამატებითი დამხარება "სუფთა ენერჯის ინიციატივის"-თვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

Handwritten mark

1. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტის პირველი წინადადება, რომელიც დასათაურებულია - "USAID-ის დახმარება", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შერულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით USAID გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოცდარვა მილიონ თორმეტი ათასს ექვსასსამოცდაათ აშშ დოლარს (\$128,012,670) ("გრანტი")."

2. ხელშეკრულების პუნქტი 3.1 (ბ) პირველი წინადადება, დასათაურებული - "USAID-ის მთლიანი სავარაუდო ფინანსური დახმარება", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"USAID-ის მთლიანი სავარაუდო ფინანსური დახმარება. ამოცანის შესასრულებლად USAID-ის მთლიანი სავარაუდო ფინანსური დახმარება იქნება ასოცდაათი მილიონ ასორმოცი ათასს თოთხმეტი აშშ დოლარი (\$130,140,014), რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით."

3. პუნქტი 3.2(ბ), მესამე ხაზი, აშშ დოლარში მოცემული თანხის ოდენობა "\$41,086,666" წაიშლება და ჩანაცვლდება "\$42,244,181.10"-ით.

4. დანართი 1, პუნქტი 5 (დ) "საქართველო სუფთა ენერჯის ინიციატივა", თანხა "1.5მლნ აშშ დოლარი" წაიშალა და შეიცვალა "4,652,670 აშშ დოლარის ოდენობის თანხით".

5. დანართი I-ის მე-5 პუნქტს "საქმიანობები/საქმიანობის ნაწილი" დაემატოს შემდეგი პირობა "ე" ქვეპუნქტის შემდეგ:

"ე" "შემუშავება და ზედამხედველობა" (სხვა საქმიანობებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტების მხარდაჭერით), USAID უზრუნველყოფს ადგილობრივი პროფესიონალური საინჟინრო და ტექნიკური დამხარების გაწევას გაზის და ენერჯო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტების ზედამხედველობისთვის, რომელიც ფინანსდება გრანტის თანხებით. ამას გარდა, აღნიშნული დახმარება გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს მლობელობაში მყოფი ენერჯო და გაზის კომპანიებში ადამიანური რესურსების გასაძლიერებლად საინჟინრო, სამშენებლო, მომსახურების, გარემოსდაცვითი და შესყიდვების სფეროში".

2

6. დანართი 1, პუნქტი VI (ა), პირველი ხაზი, "126,815,000" აშშ დოლარის ოდენობის თანხა წაიშალა და შეიცვალა "130,140,014" აშშ დოლარის ოდენობის თანხით.

7. დანართი 1, ცხრილი სახელწოდებით "USAID-ის ფინანსური გეგმა: ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 ფინანსური წლებისათვის" წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

მიზანი და ღონისძიებები	ვალდებულებების მთლიანი თანხა	ფინანსური დახმარება ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ*	დარჩენილი თანხა, რომელზეც უნდა იქნეს აღებული ვალდებულება	მთლიანი მიანსლოები თი დახმარება
ეკონომიკური ზრდის მიზანი, ინფრასტრუქტურის სფერო, თანამედროვე ფინანსური მომსახურებები				
ელექტროგადამცემის განახლება, რეკონსტრუქცია, ოპერირება	\$28,000,000	\$0	\$0	\$28,000,000
გაზის ტრანზიტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეცვლა და რეაბილიტაცია	\$78,029,628	\$0	\$0	\$78,029,628
ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისება	\$8,000,000	\$1,727,344	\$0	\$9,727,344
საქართველოს სუფთა ენერჯის ინიციატივა	\$4,652,670	\$0	\$0	\$4,652,670
შემუშავება და ზედამხედველობა	\$8,570,372		\$400,000	\$8,970,372
პროგრამის მხარდაჭერა	\$760,000	\$0	\$0	\$760,000
სულ	\$128,012,670	\$1,727,344	\$400,000	\$130,140,014

* მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნული წარმოადგენს USAID-ის ფინანსურ დახმარებას ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისების პროგრამის ფარგლებში, რომელზეც ვალდებულება აღებულია განხორციელების ხელშეკრულებებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები არ შედის ვალდებულების

2

თანხაში, ეს თანხები განიხილება, როგორც USAID-ის მთლიანი მიახლოებითი დახმარება ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მხარდასაჭერად. აღნიშნული პირდაპირ ნაკისრი ფინანსური დახმარება მოიცავს:

NARUC - \$175,000

შავი ზღვის ინიციატივა - \$442,344

SynEnergy - \$180,000

ჰიდროენერჯეტიკული ინვესტიციების წახალისება - \$930,000

სულ: \$1,727,344

8. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ორს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

საქართველო:

ამერიკის შეერთებული შტატები

სახელი, გვარი: დიმიტრი გვინდაძე

სახელი, გვარი: Jonathan M. Conly

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

თანამდებობა: Mission Director
USAID/Caucasus

ცვლილება ნომერი ორი ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.



საგარეო ურთიერთობების სამინისტროს
საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 10909-14
თარიღი/DATE 13.10.11
ცდგმნი/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia

ცვლილება ნომერი სამი

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-00001

2012 წლის 28 სექტემბერი

ცვლილება ნომერი სამი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოსა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში “გრანტის მიმღები”) და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (“USAID”) მეშვეობით შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 25 თებერვალს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია აღნიშნული დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “ხელშეკრულება”) დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და

ვინაიდან, გრანტის მიმღებსა და USAID-ს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ (ა) USAID-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანი თანხა გაიზარდოს \$128,012,670-დან \$128,412,670-მდე; (ბ) USAID-ის მთლიანი დახმარება გაიზარდოს \$400,000-ით, \$130,140,014-მდე, რათა გამოყოფილ იქნას დაგეგმილი საბოლოო დახმარება “შემუშავება და ზედამხედველობის”-თვის; (გ) განახლებულ იქნას გეოგრაფიული კოდი, რათა აღნიშნული მოიცავდეს ყველა შესაბამის ქვეყნებს; და (დ) დასრულების თარიღი გადაწეულ იქნას 2014 წლის 30 სექტემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

W

1. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტის პირველი წინადადება, რომელიც დასათაურებულია - "USAID-ის დახმარება", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

“(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შერულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით USAID გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოცდარვა მილიონ ოთხას თორმეტი ათასს ექვსასსამოცდაათ აშშ დოლარს (\$128,412,670) (“გრანტი”).”

2. მუხლი 4(ა), თარიღი - “2013 წლის 31 მარტი” წაიშლება და შეიცვლება “2014 წლის 30 სექტემბრით”.

3. დანართი 1, ცხრილი სახელწოდებით “USAID-ის ფინანსური გეგმა: ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 ფინანსური წლებისათვის” წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

მიზანი და ღონისძიებები	ვალდებულებების მთლიანი თანხა	ფინანსური დახმარება ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ*	დარჩენილი თანხა, რომელზეც უნდა იქნეს აღებული ვალდებულება	მთლიანი მიახლოებითი დახმარება
ეკონომიკური ზრდის მიზანი, ინფრასტრუქტურის სფერო, თანამედროვე ენერგო მომსახურებები				
ელექტროგადაცემის განახლება, რეკონსტრუქცია, ოპერირება	\$28,000,000	\$0	\$0	\$28,000,000
გაზის ტრანზიტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეცვლა და რეაბილიტაცია	\$78,029,628	\$0	\$0	\$78,029,628
ჰიდროენერგეტიკუ	\$8,000,000	\$1,727,344	\$0	\$9,727,344

Handwritten mark or signature.

ლი ინვესტიციების წახალისება				
საქართველოს სუფთა ენერჯის ინიციატივა	\$4,652,670	\$0	\$0	\$4,652,670
შემუშავება და ზედამხედველობა	\$8,970,372		\$0	\$8,970,372
პროგრამის მხარდაჭერა	\$760,000	\$0	\$0	\$760,000
სულ	\$128,412,670	\$1,727,344	\$0	\$130,140,014

* მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნული წარმოადგენს USAID-ის ფინანსურ დახმარებას ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისების პროგრამის ფარგლებში, რომელზეც ვალდებულება აღებულია განხორციელების ხელშეკრულებებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები არ შედის ვალდებულების თანხაში, ეს თანხები განიხილება, როგორც USAID-ის მთლიანი მიახლოებითი დახმარება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების მხარდასაჭერად. აღნიშნული პირდაპირ ნაკისრი ფინანსური დახმარება მოიცავს:

NARUC - \$175,000

შავი ზღვის ინიციატივა - \$442,344

SynEnergy - \$180,000

ჰიდროენერგეტიკული ინვესტიციების წახალისება - \$930,000

სულ: \$1,727,344

4. დანართი 2, შესყიდვის პროცედურები, მუხლი გ.1.-ის პუნქტი (ა), ფრაზა "000 და 110 (აშშ, საქართველო და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები)" წაიშლება მთლიანად და შეიცვლება "937"-ით.
5. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ სამს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

W

საქართველო:

ამერიკის შეერთებული შტატები

სახელი, გვარი: ალექსანდრე ხეთაგური

სახელი, გვარი: Stephen M. Haykin

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

თანამდებობა: Mission Director
USAID/Caucasus

ცვლილება ნომერი სამი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის
ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25
თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

37



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა

თარგმნის ბიურო

REGISTRATION № 0076/1-12

DATE 04.10.12

CERTIFIED BY

Ministry of Foreign Affairs of Georgia
 TRANSLATION BUREAU
 of International Agreements of Georgia

Handwritten mark

ცვლილება ნომერი ოთხი

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-00001

2014 წლის — სექტემბერი

ცვლილება ნომერი ოთხი, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოსა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით შორის 2010 წლის 25 თებერვლის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 25 თებერვალს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია აღნიშნული დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულება") დანართ 1-ში (განვრცობილი აღწერა) და

ვინაიდან, გრანტის მიმღებსა და USAID-ს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ დასრულების თარიღი გადაწეულ იქნას 2015 წლის 30 სექტემბრამდე, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის განსახორციელებელი საქმიანობების დასასრულებლად დამატებითი დროის უზრუნველყოფის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხლი 4(ა), თარიღი – "2014 წლის 30 სექტემბერი" წაიშლება სრულად და შეიცვლება "2015 წლის 30 სექტემბრით".

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერი ოთხის ორ ორიგინალს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები

საქართველო:

სახელი, გვარი: Stephen M. Haykin

სახელი, გვარი: ნოდარ ხადური

თანამდებობა: Mission Director

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

USAID/Caucasus

Handwritten mark or signature.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა

თარგმნის ბიურო

სარეგისტრაციო REGISTRATION № 011911-14

თარიღი/DATE 26 09 2014

დაამტკიცა/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia

Handwritten mark